

619
1978
ეროვნული
ბიბლიოთეკა



აჩიგვარელი მოწინავე მეჩაიე-მექანიზატორები მედეა ლატარია და ნაზიბროლა ხასაია.

თარხან არჩვაძის ფოტო.



# ქართველ მევენახეთა დიდი გამარჯვება

15863

სასიხარულო ცნობა მოეფინა ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხეს: სახელოვანმა ქართველმა მევენახეებმა პირნათლად შეასრულეს სამშობლოსათვის მიცემული პირობა — საქართველოს მევენახეობის ისტორიაში სარეკორდო მოსავალი მოიწიეს და სახელმწიფო მარნებში 570 ათას ტონაზე მეტი სამრეწველო ჯიშების ყურძენი შეიტანეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ, ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმმა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელებს უპირველეს მიზნად დაუსახეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შემდგომი ზრდა.

ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში თავიანთი დიდი და სასახელო წვლილი შეიტანეს ქართველმა მევენახეებმა. ჩვენს მეზვრეებს კარგად ახსოვდათ გურჯაანსა და თერჯოლაში გამართული თათბირები, სადაც მათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობას, ყველა მშრომელ ადამიანს პირობა მისცეს, რომ ხუთწლედის მესამე წელს თავდადებული შრომით გადალახავდნენ ნახევარმილიონიან მიჯნას.

აღსრულდა მათი სიტყვა!

ვინ მოთვლის, რამდენი ფიქრი, მუყაითობა, თავდადებული შრომა და გარჯა დასჭირდათ ჩვენს მკლავმოუღლელ მევენახეებს, რომ წელს ყურძნის სარეკორდო მოსავალი მოეყვანათ. სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა, მოწადინეობამ, ქუდზე კაცის გამოსვლამ, შრომამ, დღენიადაგ შემართულმა, ორგანიზებულმა, შეუდრეკელმა შრომამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა — სძლია ბუნების ჭირვეულობას და ყოველგვარი სიძნელეები გადალახა.

როცა საქართველოს დალოცვილ ზვრებში დიდი რთველი გაჩაღდა, მევენახეებს საიმედოდ ამოუდგნენ მხარში რესპუბლიკური გაერთიანება „სამტრესტის" მუშაკები. ისინი ძალასა და ენერგიას არ ზოგავდნენ, რომ დროულად, შეუფერხებლად, უდანაკარგოდ მიეღოთ და გადაემუშავებინათ მოზღვავებული ყურძენი.

ქართველ მევენახეთა დიდი გამარჯვება, რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ გაიზიარა. ყურძნის სარეკორდო მოსავლის მიღებას გვილოცავდნენ მოძმე რუსეთიდან, უკრაინიდან, ბალტიისპირეთიდან, აზერბაიჯანიდან, სასომხეთიდან....

ძმათა ალალმა, გულითადმა მილოცვებმა კიდევ უფრო აღაფრთოვანა, ახალი შრომითი წარმატებებისათვის დარაზმა ქართველი მევენახეები. მათი სიტყვა და საქმე ერთია! ეჭვს გარეშეა, ხუთწლედის მეოთხე წელსაც ჩვენი მევენახეები ახალი შრომითი წარმატებებით ისახელებენ თავს!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 11 (503). ნოემბერი. 1978 წ.

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



© „დროშა", 1978.

ეროვნული ბიბლიოთეკა









მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.





საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ



ციცინო ფარუაშვილი.

ᲗᲐᲠᲮᲐᲜ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲘᲡ ფოტო.

# ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

არასოდეს უფიქრია ციცინო ფარუაშვილს აბრეშუმის პარკის ამომხვევი გამხდარიყო.

საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, ციცინო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აბარებდა მისაღებ გამოცდებს. მერე, როცა სტუდენტი ვერ გახდა, წულუკიძის ძაფსალებ-საგრეხ ფაბრიკაში მივიდა სამუშაოდ. რა უნდა ექნა, მომავალ მისაღებ გამოცდებამდე უსაქმოდ ხომ არ დარჩებოდა?

წელს წელი მიჰყვა, მეორეს—მესამე, მესამეს—მეოთხე... საქმის სიყვარულმა თანდათან უფრო გაიტაცა და აი, უკვე ჩვიდმეტი წელია, რაც ციცინო ფარუაშვილი პარკის სახარშავ აუზთან ტრიალებს.

ჩვეულებრივი სამუშაო დღეა.

ძაფსალებ საამქროში მუშები ფუსფუსებენ, გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებენ საქმეს.

ციცინო ფარუაშვილი დროდადრო თვალს გადაავლებს თავისი ბრიგადის წევრებს. მის გამოცდილ თვალს აბა რა გამოეპარება? ბრიგადირმა მაშინვე იგრძნო, რომ გულნაზ კუხალეიშვილს კვლავ აერია სათვალავი. ახეა, ახალბედა მუშებს, ვიდრე ხელს გაიწაფავენ, ხშირად მოსდით ხოლმე შეცდომა.

გულნაზიც ახალგაზრდაა. დიდი ხანი არ არის რაც საამქროში მოვიდა და ბრიგადის ახალგაზრდა წევრებს ამოუდგა მხარში.

ციცინო ფარუაშვილმა გაწყვეტილი ძაფი სწრაფად გადააბა ერთმანეთს, დაბნეულ ახალბედას გახედა. გულნაზმა გაუღიმა, იმედიანად გაუღიმა, ამ ღიმილში შემწე ბრიგადირის მიმართ კმაყოფილება და სამადლობელიც იგრძნობოდა.

ყველაფერი ნათელი იყო: გულნაზს თვითწამლებისათვის შვიდი პარკის ნაცვლად ექვსი პარკი მიეწოდებინა.

ძაფსალებ საამქროში დაძაბული ყურადღებაა საჭირო, გაწაფული ხელი, სისწრაფე. სხვანაირად საქმე ვერ წაიწევს წინ.

აუზში წყალი დუღს. თეთრი აბრეშუმის პარკები ზედაპირზე ტივტივებენ. თითქოს ითხოვენ — არ შეგვეშალოთ, ზუსტად მომიძებნეთ წვერი, ზუსტად ამომიღეთ და ძვირფასი ძაფი თქვენი იყოსო.

აუზებიდან ცხელი ორთქლი იფრქვევა.

მუშები გაფაციცებით დაეძებენ ძაფის წვერს. მიაგნებენ, თითებს დაავლებენ, სწრაფად ასწევენ ზევით; ასწევენ, და როგორც ანკესზე წამოგებული თევზები, ისე ასხმარტალდებიან ხოლმე ჰაერში ფერშეცვლილი ძაფები.

— აი, უყურე,—ეუბნება ბრიგადირი გაფაციცებულ გულნაზს, — სწრაფად უნდა ჩაავლო ხელი, თვითწამლებს შვიდი პარკის ძაფი უნდა მიაწოდო. არ დაგავიწყდეს: შვიდი პარკიდან სამი ძველი და ოთხი ახალი უნდა იყოს.

— ძნელია! — ლუღლუღით ეპასუხება ბრიგადირს გულნაზ კუხალეიშვილი.

— ადვილი საქმე არ არსებობს, — უჭერს ციცინო და ახლა ბრიგადის სხვა წევრებისკენ გაურბის თვალი, — ძნელია ოთხიოდე კილოგრამი პარკიდან ერთი კილოგრამი სუფთა ძაფის მიღება, ძნელია, მაგრამ უნდა გააკეთო!

— გავაკეთებ! — ამ პასუხში მონდომება, დაუოკებელი სურვილი და რწმენა იგრძნობა.

ახლა დამაორთქლებელი ლილი ხელოიშვილთან მიდის ბრიგადირი.

— რა მოხდა? — კითხულობს წინგადახრილი ციცინო.

— ვერაფრით ვერ მოვუძებნე თავი, — პარკზე ანიშნებს გაწბილებული ლილი, — არადა არ გამოდის...

ბრიგადირი წამით ჩაფიქრდა და მაშინვე მიუგო:

— დააბრუნე სახრავ აუზში!

რა თქმა უნდა, სწორი გადაწყვეტილებაა! ზოგიერთი პარკი „ჭიუტი" გამოერევა ხოლმე, ბრუნავს, არ გემორჩილება, ძაფის თავს არ გიჩვენებს. ასეთ ნედლეულს ხელახლა აბრუნებენ აუზში. ხშირად არც ეს შველის: ირკვევა, რომ აბრეშუმის ჭია დამნაშავე და არა მუშა, დიახ, ჭია ზოგჯერ არასწორად ახვევს პარკს. სხვა ჩარა აღარ არის, ასეთი პარკი უნდა მოაშორო აუზს და ნარჩენებში გაუშვა...

— გამარჯობათ! — გაისმის საამქროს უფროსის გურამ უგრეხელიძის სამო ხმა.

იგი ეს-ეს არის დაბრუნდა საწარმოო თათბირიდან. ერთი სული აქვს პირწმინდად მოუყვეს ყველაფერი მუშებს. წულუკიძის ძაფსალებ-საგრეხ ფაბრიკას მალე დაარსების 50 წლისთავი უსრულდება. ამ საზეიმო თარიღს შრომაში მოპოვებული ახალი სახახელო წარმატებებით ხელდამშვენებული უნდა შეეგებოს მთელი კოლექტივი. აი, სწორედ ამას შეეხებოდა დღევანდელი საწარმოო თათბირი. მალე ფაბრიკაში საერთო კრებას მოიწვევენ. დეტალურად იქ განიხილება და გადაწყდება ყველაფერი.

— როცა შესვენება დაიწყება, სამი წუთი მადროვეთ, რაღაცა მაქვს სათქმელი! — ღიმილით გაიძახის საამქროს უფროსი.

მეოთხე მიკრობრიგადის წევრები უფრო ხალისიანად ეჭიდებიან საქმეს. აუზიდან ამოხვეული ძაფი თვითწამლებიდან ლარივით იჭიმება დაზგების და გადასახვევ ჭარას შორის. უსასრულოდ მოდის და მოდის ძვირფასი ქართული აბრეშუმი.

სწორედ ასეთმა მონდომებამ, საქმის სიყვარულმა, დღენიადაგ თავდადებულმა შრომამ შექმნა წარმატების მტკიცე საფუძველი. მთელმა ბრიგადამ სახახელო მაჩვენებლებით დაამთავრა ხუთწლედის მესამე წლის პირველი ნახევარი. გეგმით გათვალისწინებული 750 კილოგრამის ნაცვლად სამშობლოს 825 კილოგრამი ძვირფასი ძაფი მისცა, 170 კილოგრამი ნედლეული დაზოგა. დამზადებული პროდუქციის 60,4 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

წარმატებას შენარჩუნება უნდა. არა, მარტო შენარჩუნება კი არა, გაზრდა და გაღრმავება!

წულუკიძის ძაფსალებ-საგრეხ ფაბრიკაში დამზადებულ პროდუქციაზე უფრო და უფრო იზრდება მოთხოვნილება. სახალხო მეურნეობას დიდი რაოდენობით სჭირდება აბრეშუმის ნედლეული. მეათე ხუთწლედში საწარმოოთათვის ამ ნედლეულის მიწოდება მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს.

აი, ამიტომაც არის ფაბრიკის თითოეული მუშა, თითოეული ბრიგადა, საამქრო, გაორკეცებული ენერგიით რომ იბრძვის ახალი მიჯნების დასაპყრობად, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით დასაგვირგვინებლად...

იმ დღეს ციცინო ფარუაშვილი ჩვეულებისამებრ ნაადრევად მივიდა ფაბრიკაში.

საამქროში შესვლისთანავე გაოცებული შეჩერდა. ბრიგადის ყველა წევრი უკვე თავის ადგილზე იდგა. ყველა საქმით იყო გართული და ციცინოს შესვლა ვერც კი შენიშნეს.

ციცინომ მიმოიხედა. ახლაღა მოჰკრა თვალი საამქროში კედელზე გაკრულ უზარმაზარ ქაღალდს, რომელზედაც მსხვილი ასოებით წაეწერათ „ბრიგადის კოლექტივი გულწრფელად ულოცავს ციცინო ფარუაშვილს დაბადების დღეს".

აღელვებული ბრიგადირი ის-ის იყო რაღაცის თქმას აპირებდა, რომ საამქროში ფაბრიკის დირექტორი ბორის ჭავჭანიძე და საამქროს უფროსი გურამ უგრეხელიძე შემოვიდნენ.

ახლაღა აზმაურდა ყველა. ციცინოს მეგობრები



მეგობრები

შემოეხვივნენ გარშემო. ყველა კოცნიდა და დაბადების დღეს ულოცავდა.

დირექტორმაც მიულოცა ციცინოს დაბადების დღე. მიულოცა და საერთო ტაშის გრიალში მოწინავე ბრიგადირს საზეიმოდ გადასცა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების სიგელი.

— რას იტყვი? — ჰკითხა სიხარულით გაოგნებულ ციცინოს სახელდახელო შეკრების დამთავრებისას საამქროს უფროსმა.

ციცინო ჩაფიქრდა.

— რა მეთქმის, მადლობის მეტი, — თქვა ბრიგადირმა. მერე მეგობრებს გადახედა და სიამაყით წარმოთქვა, — ჩვენი ბრიგადის წევრებმა უკვე ვიმსჯელეთ იმის შესახებ, რასაც ახლა გეტყვით...

ციცინო ფარუაშვილი წამით შეჩერდა და მკაფიო ხმით დასძინა:

— მეათე ხუთწლედს ჩვენი ბრიგადა 1980 წლის 7 ოქტომბერს შეასრულებს.

მისი სიტყვები ტაშის გრიალმა დაფარა.

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მუშები, ერთ მტკიცე კოლექტივად შეკრული დობილები ტაშს უკრავდნენ თავიანთ ბრიგადირს, რომელიც ყველას სურვილსა და მისწრაფებას გამოხატავდა.

ᲘᲕᲔᲠᲘ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ

# ᲩᲐᲠᲮᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის" კოლექტივის ერთ-ერთი ძირითადი საპატიო დავალებაა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასთან დაკავშირებული სხვადასხვა შეკვეთების დროულად და ხარისხიანად შესრულება. გაერთიანების პარტიულმა ორგანიზაციამ და დირექციამ გარკვეული მუშაობა ჩაატარეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისათვის ჩვენი კოლექტივი ახორციელებს მუშაობას შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

მუდმივი და გეგმური დახმარება გავუწიოთ საშეფო კოლმეურნეობებს.

ერთდროული დახმარება გავუწიოთ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს სათადარიგო დეტალების დამზადებასა და მიწოდებაში.

მონაწილეობა მივიღოთ სხვადასხვა დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და მოწყობილობის დამზადებაში.

დროულად და ხარისხოვნად შევასრულოთ სოფლის მეურნეობის ორგანიზაციების შეკვეთები ლითონსაჭრელი ჩარხების და მათი სათადარიგო ნაწილების დამზადებაზე.

უზრუნველვყოთ კოლექტიური მებაღეობის სწორი ორგანიზაცია და გახვითარება.

კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხანა უკვე რამდენიმე წელია საშეფო დახმარებას უწევს გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლადო კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობას და წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობას. აღნიშნულ კოლმეურნეობებთან დადებული გვაქვს ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს საშეფო დახმარებას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასამტკიცებლად. კერძოდ, გათვალისწინებულია შევასრულოთ სხვადასხვა სახის სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები, უზრუნველვყოთ სხვადასხვა მასალების, საკომპლექტაციო ნაკეთობების და მჭრელი იარაღების გამოყოფა, დავამზადოთ სათადარიგო ნაწილები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაკეთებლად.

მიმდინარე წელს აღნიშნულ კოლმეურნეობებს გაეწიათ პრაქტიკული დახმარება სხვადასხვა სამუშაოების შესრულებაში. გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლადო კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში კაპიტალურად შეკეთდა სხვადასხვა სიმძლავრის ელექტროძრავები, დამზადდა სათადარიგო ნაწილები ჩარხებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაკეთებლად, გამოიყო ქარხნის ფონდიდან 20 ტონა ცემენტი, ქარხნის ძალებით შეკეთდა ლითონსაჭრელი ჩარხები; კოლმეურნეობას გაეწია დახმარება მჭრელი იარაღებით და ლითონის მასალით მომარაგებაში; აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნიმუშის სახით დამზადდა 2 ცალი სალორე. მათი დანერგვის შემდეგ ასეთ სალორეებს საჭირო რაოდენობით დავამზადებთ. 1977 წელს კოლმეურნეობის შეკვეთით დავამზადეთ აგრეთვე წისქვილი.

ანალოგიური სამუშაოები შესრულდა და საშეფო დახმარება გაეწია წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობას. მეღორეობის ფერმის და სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის კოლმეურნეობას გამოეყო სხვადასხვა ლითონის მასალა 11 ტონის ოდენობით, 5 ტონა ცემენტი, ხის მასალა და სხვადასხვა სახის ლაქსაღებავები.

გაერთიანების კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება სოფლის მეურნეობისათვის ფონდებით გამოყოფილი ჩარხების, სათადარიგო ნაწილების დადგენილ ვადებში ხარისხოვნად დამზადებას და გაგზავნას.

1978 წლის პირველ ნახევარში გეგმით გათვალისწინებული იყო სოფლის მეურნეობის შეკვეთებით დაგვემზადებინა 777 ათასი მანეთის საერთო ღირებულების 134 ცალი ლითონსაჭრელი ჩარხი და 7100 მანეთის სათადარიგო ნაწილები. ფაქტიურად დამზადდა და დანიშნულებისამებრ გაიგზავნა 870 ათასი მანეთის ღირებულების 150 ჩარხი და 10,2 ათასი მანეთის ღირებულების სხვადასხვა სათადარიგო ნაწილები.

ქარხნის კოლექტივი გარკვეულ სამუშაოებს ასრულებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ახალი ტექნიკის ათვისებასა და დამზადებაში.

1977 წელს სამთო-სასოფლო მანქანების კვლევითი ინსტიტუტის შეკვეთით ქარხანამ დაამზადა ჩაის ნერგების დასარგავი მანქანის საცდელი ნიმუში; 1977—78 წწ. დამზადდა ჩაის ხელით საკრეფი მანქანის 7 დასახელების 19 ათასამდე დეტალი. ქარხნის კოლექტივი ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდება თითოეული სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის თხოვნას და შესაძლებელ ოპერატიულ დახმარებას უწევს მათ სათადარიგო ნაწილებისა და საკომპლექტაციო ნაკეთობათა მიწოდებაში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადიდება, მუშა-მოსამსახურეთა დასვენების პირობების გაუმჯობესება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კოლექტიური მებაღეობის სწორ ორგანიზაციაზე. ქარხანაში შექმნილია კოლექტიური მებაღეობის გამგეობა. 1967 წელს, შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, გლდანის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე გამოყოფილი იქნა 58 ჰექტარი მწირი მიწა, რომელიც განაწილდა ქარხნის 700 თანამშრომელზე. აღნიშნული დროის მანძილზე მებაღეობის წევრების მიერ დიდი სამუშაოები ჩატარდა. შეიძლება ითქვას, რომ მწირი ტერიტორია ახლა უკვე ბაღნარად გადაიქცა, მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა კეთილმოწყობილი დასასვენებელი ადგილიც გახდა.

კოლექტიური მებაღეობის წევრთა საზრუნავი ახლა ის არის, რომ სათანადო პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით უმოკლეს ვადაში გადაწყდეს, პრაქტიკულად განხორციელდეს წყლის გაყვანის და გზის კეთილმოწყობის საკითხები.

აი, ასე უდგას მხარში ჩვენი საწარმო დღევანდელი ცხოვრების რიტმს.

ᲞᲐᲕᲚᲔ ᲩᲘᲮᲝᲒᲘᲫᲔ,
თბილისის ჩარხსაშენებლო საწარმოო გაერთიანების დირექტორის მოადგილე.

ᲒᲐᲜᲕᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲝᲗ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ!

# ...თუ კაცი მოინდომებს

მიიწურა ღვინობისთვე. გლეხკაცი თავისი გამრჯე შრომის ნაყოფს—წლის სარჩოს აბინავებს, გაწეული მუშაობის შედეგებს აჯამებს და მომავლის გეგმებს სახავს. ასე ყოფილა ოდითგან და ასეა ახლაც...

ამ ფოტონარკვევის გმირებმა, ხაშურის რაიონის სოფელ ცოცხნარის კოლმეურნეობის მშრომელებმა, პირნათლად შეასრულეს სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა. მათი მოწადინეობის, მუხლჩაუხრელი შრომის ნაყოფი სახეზეა — დიდი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორბლის, ქერის, სიმინდის მარცვლის, შაქრის ჭარხლის, საკვები ძირხვენების, რძის, აბრეშუმის პარკის მიყიდვის გეგმები.

იოლი როდი იყო ესოდენ მაღალი მაჩვენებლების მიღწევა. მთელი წლის მანძილზე დაძაბული შრომით უყრიდნენ საფუძველს ხუთწლედის მესამე, დამკვრელური წლის უხვ მოსავალს ცოცხნარელი კოლმეურნეები.

წარმატებები, რა თქმა უნდა, თავდადებულმა კოლექტიურმა შრომამ განაპირობა. ამ საერთო წარმატებაში კი მცირეოდენი წვლილი როდი შეიტანა იმ მონდომებამ, უნარმა, საქმისადმი შემოქმედებითად მიდგომამ, მუდამ ახლის ძიებამ, რითაც კოლმეურნეობის ახალგაზრდა თავკაცი ელდარ მაჭარაშვილი უძღვებოდა საერთო საქმეს. ხაშურის რაიონში სწორედ მის დამსახურებად მიიჩნევენ იმას, რომ უკანასკნელ ორ წელიწადში ცოცხნარელებმა ლამის ტრადიციად ქცეული ჩამორჩენა დაძლიეს და მოწინავეთა მიჯნებზე გავიდნენ.

ელდარ მაჭარაშვილი მანამდე ალის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა პარტიული ორგანიზაციის მდივნად. ცოცხნარაში კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩევის რეკომენდაცია რომ გაუწიეს, ბევრი არ უფიქრია, იცოდა, საქმისათვის ასე იყო საჭირო და გადაწყვეტილებაც უყოყმანოდ მიიღო. „ბევრს გაუკვირდა, რა გრჯის, ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში რა გინდა, საქმეს ადგილიდან ვერ დაძრავო... არ დავეთანხმე ასეთ რჩევას. თავად სხვა აზრი გამაჩნდა. იცით, რატომღაც აქ მუშაობის სურვილი გამიძლიერდა, მინდოდა, სიძნელეებთან ჭიდილში გამომეცადა საკუთარი შესაძლებლობები; ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში მუშაობა ერთგვარ საჯილდაო ქვად დავისახე“. ეს სიტყვები ელდარ მაჭარაშვილს ეკუთვნის.

დღეისათვის სიძნელეები ახალგაზრდა თავმჯდომარემ წარმატებით დაძლია, ჩამორჩენასთან ჭიდილშიც იმარჯვა და კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. აი, საგულისხმო ციფრი: გასულ წელს კოლმეურნეობის შოგებამ 309.078 მანეთი შეადგინა!

წლეულს რომ შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი მოიწიეს, ეს თავმჯდომარის საზრიანობამაც განაპირობა. მისი წინადადებით, მდინარე ტილიახაზე, რომელიც წყალუხვობით არ გამოირჩევა, რამდენიმე ადგილზე წყალსაცავები მოაწყეს. ადრე გაზაფხულზე, თოვლის დნობა რომ დაიწყო, წყალსატევებში უხვად მოიმარაგეს სარწყავი წყალი. ზაფხულის გვალვიან დღეებში შეუჩერებლივ მუშაობდნენ წყალსატუმბები, ირწყვებოდა ნათესები. საბოლოო შედეგი კი იმ სარეკორდო მოსავლით გამოიხატა, აქაურმა მეჭარხლეებმა რომ მოიწიეს.

ელდარ მაჭარაშვილი საქართველოს კომკავშირის XXXI ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს. ეს ახალგაზრდა სპეციალისტის შრომის დაფასება, მისი დიდი აღიარება გახლდათ.

ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავს ღირსეული ნობათებით შეეგებენ სოფლის ახალგაზრდები, რომლებიც მუყაითობით, ახლის ძიებითა და მკლავმოუღლელი გარჯით გამოირჩევიან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა განსაზღვრა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები, რომელთა პრაქტიკული ხორცშესხმა უპირველეს მიზნად დაისახეს ცოცხნარელებმა. ამ მიზნის ცხოვრებაში გატარება დაედება საფუძვლად იმ უხვ მოსავალს, იმ მაღალ მაჩვენებლებს, ახლო მომავალში რომ პირდებიან სამშობლოს კოლმეურნეობის მხვნელ-მთესველები, მებაღეები, მეზვრეები...

**ვახტანგ ხუნდაძე**



კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. მაჭარაშვილი (მარცხნივ) და მექანიზატორი მ. გოგოლაძე.



ამოწმებენ ჭარხლის ნათესებს.

ანზორ გოგოლაძის ფოტო

მეცხოველეობის ფერმაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შორეული და ახლობელი

თბილისიდან სამნი გავემგზავრეთ — სატელევიზიო ჟურნალ „თბილისი და თბილისელების“ რედაქტორი ლია თოდუა, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორის მოადგილე ანატოლი კიკნაძე და ამ სტრიქონების ავტორი. სვერდლოვსკში გვიან ღამით ჩავფრინდით. იქაური დრო ორი საათით უსწრებს მოსკოვისას. შილიფად ჩაცმულებმა უმალ ვიგრძენით შუა ურალის ღამეული სუსხი, თბილისში 30 გრადუსი სიცხე დავტოვეთ, აქ კი თერმომეტრი 8 გრადუსს უჩვენებდა.

სვერდლოვსკისა და თბილისის შრომით პაექრობას გასული წლის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი.

ამჯერად კიდევ ერთ საყურადღებო ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი — ურალის ქალაქების ჟურნალისტებისა და თბილისელ ჟურნალისტთა მეგობრობა — თანამშრომლობას. ამ ინიციატივის მოთავედ გამოვიდნენ სკკპ სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტი და სვერდლოვსკის საოლქო ჟურნალისტთა კავშირი.

საქალაქო კომიტეტში ერთმანეთს შევხვდით სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, პერმის, თბილისის და ტიუმენის პრესის, რადიოს, ტელევიზიის წარმომადგენლები, პარტიის საქალაქო კომტეტების მუშაკები.

ჟურნალისტები ხშირად ვიყენებთ ასეთ ტრაფარეტს — „შეხვედრა იყო გულთბილი, მეგობრული“... და ამით ამოვწურავთ სათქმელს. ჩვენი თავშეყრა ურალში გასცდა ყოველგვარ ჩარჩოს და ტრაფარეტს: ორსაათიანი საქმიანი და ბევრისმომცველი საუბარი პარტიის საქალაქო კომიტეტში, შემდეგ ქალაქის ღირსშესანიშნაობათა, მისი შემოგარენის დათვალიერება, შეხვედრა ჟურნალისტებთან სვერდლოვსკის ტელევიზიისა და რადიოს სახლში და საღამოს უკვე მახლობლებივით ვულიმოდით ერთმანეთს პერმელი ანატოლი პოგრებნიაკი, ჩელიაბინსკელი ბორის მიტიურევი, ტიუმენელი ნიკოლოზ ჩარიკოვი, სვერდლოვსკელი ანატოლი ვაინბერგი და სხვები.

დიანა ბოიარსკაიას, სკკპ სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორს ვერასოდეს დავივიწყებთ. ეს ვერცხლისწყალივით მოძრავი, მხიარული და ღრმა ერუდირებული ადამიანი გვიწევდა მენტორობას. დილიდან გვიან საღამომდე ჩვენთან იყო. მიგვიძღოდა წარმოება-დაწესებულებებში, მუზეუმებში, ქალაქის შემოგარენში, გვაცნობდა ადამიანებს, რომლებითაც ამაყობს ურალის მხარე, მოგვითხრობდა საინტერესო ეპიზოდებს ქალაქის დღევანდელობაზე, ისტორიულ წარსულზე, მომავალზე.

დიდმა ლენინმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე დააყენა მძიმე მრეწველობის ყოველმხრივი განვითარების საკითხი. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განსახორციელებლად. პირველ ხუთწლედში ურალში აიგო 149 მსხვილი საწარმო. 1933 წელს მწყობრში ჩადგა სერგო ორჯონიკიძის სახელობის ურალის მძიმე მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელსაც მაქსიმ გორკიმ სამართლიანად უწოდა „ფაბრიკა-ქარხნების მამა“. ეს იყო პირველი გიგანტი ურალში, რომელიც ამოქმედების დღიდანვე გახდა საბჭოთა მძიმე მანქანათმშენებლობის ფლაგმანი. ქარხანამ დიდი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის მეტალურგიული, სამთამადნო და ნავთობმოპოვების წარმოების ტექნიკურად აღჭურვის საქმეში.

სამამულო ომის წლებში ქარხანა მთლიანად გადავიდა სამხედრო მრეწველობაზე.

ქარხანაში ჩვენ შევხვდით შრომის ვეტერანებს, რომლებიც დეტალურად მოგვითხრობდნენ ომის წლებში სანახევროდ მშიერნი როგორ შრომობდნენ სიცივეში, სიცხეში; ისინი ღამესაც ქარხანაში ათევდნენ, ეძინათ იქვე დაზგებთან, რათა წუთითაც არ შეჩერებულიყო საწარმოს მაჯისცემა, რათა განუწყვეტელ ნაკადად გაეგზავნათ ფრონტისათვის მრისხანე ტანკები, საჭურველი.



შეხვედრის მონაწილენი ტურბოძრავების ქარხანაში.

სვერდლოვსკის კ. ვოროშილოვის სახელობის ტურბოძრავების ქარხანამ თავისი პირველი პროდუქცია — 12 ათასი კილოვატის სიმძლავრის ორთქლის ტურბინა 1941 წლის მაისში გამოუშვა. ერთი თვის შემდეგ სამამულო ომი დაიწყო და ქარხანა სამხედრო რელსებზე გადავიდა. დაიწყეს ტანკებისათვის განკუთვნილ დიზელების გამოშვება. ახალგაზრდა კოლექტივის მიერ წარმოებულმა პროდუქციამ მალე მოიპოვა საერთო აღიარება სამამულო ომის ფრონტებზე. სწორედ ამ პერიოდში დააჯილდოეს ქარხანა ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

შემდეგ აღდგენითი პერიოდი, ძიების, შემოქმედებითი შრომის წლები. საბჭოთა ქვეყანას ძრავები, ტურბინები, ესაჭიროებოდა და ამჯერად სატანკო დიზელები ნავთობმოპოვების წარმოებისათვის გადააკეთეს. შემდგომ პერიოდში კი შეუდგნენ დიზელგენერატორების, ტურბოკომპრესორების, გაზის ტურბინების და სხვა მძლავრი მოწყობილობა-დანადგარების გამოშვებას.

დიდებული ქალაქია სვერდლოვსკი — თავისი ფართო, გემოვნებით გამწვანებული გამზირებითა და ქუჩებით, მოედნებით, ბაღებითა და საზოგადო თავშეყრის ადგილებით, რუსული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი სახლების ანსამბლებით და ახალი საცხოვრებელი მასივებით, თავისი ისტორიულ-რევოლუციური წარსულით და უკეთესი მერმისით. და, რაც მთავარია, ადამიანებით. ჩვენ ვხვდებოდით მუშებს, მოსამსახურეებს, ხელოვნების დარგის მუშაკებს და გვახარებდა მათი გულთბილი, მეგობრული დამოკიდებულება. ვგრძნობდით, როგორ უყვარს თითოეულ მოქალაქეს მშობლიური სვერდლოვსკი. ისინი სიყვარულით გვიყვებოდნენ თავიანთი თანამოქალაქის, დიდი რუსი მწერლის პაველ ბაჟოვის შესახებ, დაგვათვალიერებინეს მსოფლიოში განთქმული მინერალოგიის მუზეუმი, სადაც თავმოყრილია ურალში მოპოვებული მადნის, ძვირფასი და ფერადი ლითონის, პატიოსანი თვლების, მინერალებისა და სხვათა ნიმუშები. ქალაქს აქვს 120 ჰექტარი ტყე-პარკი, ტანლატანა ფიჭვებითა და ფოთლოვანი მცენარეებით დამშვენებული. აქ ვნახეთ ურალელი მეტყევეების მიერ ხეში გამოკვეთილი სკულპტურები. თითოეული მათგანი ხელოვნების დიდებულ ნიმუშებს წარმოადგენს.

ყოველ საწარმოს აქვს თავისი დასასვენებელი ზონა ქალაქგარეთ ფიჭვნარში და ტბის ნაპირებზე. ყველა ქარხანას საკუთარი მუზეუმიც აქვს. ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ქარხანა „ურალმაშის“ მუზეუმმა და მისმა ფილიალებმა. აქ არის აგრეთვე საბჭოთა კავშირის გმირის, ლეგენდარული საბჭოთა მზვერავის ნიკოლოზ კუზნეცოვის ოთახი-მუზეუმი. იგი ომამდე ამ ქარხანაში მუშაობდა. უშიშარი მზვერავის შესახებ გვესაუბრა მისი ძმა ვ. კუზნეცოვი.

ურალის უსიერ ტყეებში, ფიჭვებისა და არყის ხეების შრიალში ვტკბებოდით ამ მხარეში დაბადებული სიმღერებით. ჩვენთან ერთად იყო სვერდლოვსკელთა საყვარელი კომპოზიტორი ვლადიმერ პესტოვი, რომელიც შესანიშნავად ასრულებდა ბაიანზე როგორც საკუთარ, ისე რუსულ ხალხურ სიმღერებს.

ბოლოს ჟურნალისტთა საოლქო კავშირმა მოაწყო პრესკონფერენცია. საქართველოდან წარგზავნილები მიგვიწვიეს ტელესტუდიაში. სვერდლოვსკელ ტელემაყურებლებს ვესაუბრეთ ჩვენი დედაქალაქის ცხოვრება-საქმიანობაზე, ურალურ შთაბეჭდილებებზე. დასასრულს ნაჩვენები იქნა ფრაგმენტები ქართულ სატელევიზიო ფილმიდან „თბილისი“.

ბორის მიტიურევმა, „ვეჩერნი ჩელიაბინსკის“ რედაქტორის მოადგილემ, სამახსოვროდ გადაღებულ სურათზე ასე წაგვიწერა:

«Уральского вам здоровья
и кавказского долголетия!»

ჩვენც ასევე ვუსურვებთ ურალელებს სიკეთესა და ბედნიერებას. დაე, უფრო ღრმად გაედგას ფესვები ჩვენს ძმობას და მეგობრობას.

ჰენრი კობიძე



# მეგობრები ულოცავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილ ქართველ მწერალს სანდრო შანშიაშვილს დაბადების 90 წელი შეუსრულდა.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი ღვაწლისათვის და დაბადების 90 წელთან დაკავშირებით სანდრო შანშიაშვილი დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით.

ჟურნალი „დროშა“ მკითხველებთან ერთად ულოცავს უხუცეს მწერალს ამ დიდ თარიღს და კვლავ ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, დიდ შემოქმედებითს სიხარულს უსურვებს მას.

მხცოვან მწერალს დაბადების 90 წელთან დაკავშირებით მკითხველებისაგან, მეგობრებისაგან, თაყვანისმცემლებისაგან უამრავი წერილი, დეპეშა მოუვიდა.

ვაქვეყნებთ ზოგიერთ მათგანს.

☆

გულმხურვალედ მოგილოცავ, ძვირფასო, საყვარელო ძმაო და მეგობარო სანდრო, ცხოვრების, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ღირსსახსოვარ დღეს. გისურვებ საქართველოს შესანიშნავ უხუცეს პოეტს, გამოჩენილ დრამატურგს, ბრწყინვალე ადამიანს უბერებლობას, კახურ შეურყეველ ჯანმრთელობას, ცხოვრების მრავალ მზიან დღეს, სიმხნევეს, ახალ-ახალი შთაგონების ბედნიერებას, კეთილდღეობას.

მიიღე ჩემი გულითადი სალამი, საუკეთესო სურვილები გადაეცი შენი შესანიშნავი ოჯახის წევრებს.

საყვარელო სანდრო, ძალიან მინდა 90 წელი შემოდგომაზე, საერთო-სახალხო დღესასწაულზე, ჩვენს დიდებულ თბილისში პირადად მოგილოცო. მაგრად გეხვევი. მიიღე ჩემი ოჯახის საუკეთესო მეგობრული სურვილები და სალამი.

ღრმა პატივისცემით

**ნიკოლოზ ტიხონოვი**

☆

ძვირფასო ბატონო სანდრო, მდაბლად გიხრით თავს საბჭოთა პოეზიის უხუცეს წარმომადგენელს, საყვარელი საქართველოს სახელოვან მომღერალს, ქართული სიტყვის ერთგულ რაინდს, ჩემს უფროს ძმასა და მეგობარს.

თქვენი სიყვარულით, პატივისცემითა და ერთგულებით გამსჭვალული

**მიკოლა ბაჟანი.**

**90**

ჩემო ხალხო! ჩემო საყვარელო ხალხო! გმადლობთ,
დიდი მადლობთ. ეს ჩემი ხანგრძლივი ხნის თქვენთან [illegible]
თქვენით მიხარია. [illegible]
[illegible]

სანდრო შანშიაშვილი

# ფესვმაგარი ბერმუხა

# სანდრო შანშიაშვილი

ჩვენი საუკუნის ცხრაასიან წლებში ქართველი ერი მოჯადოებული იყო დიდი ილიას, ღვთაებრივი აკაკისა და მთის არწივის — ვაჟას პოეტური ხმით. ამ გოლიათი მამულიშვილების მიერ მაღლა შემართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა უკვე ლაღად ფრიალებდა და ამ მოძრაობის მზე საიმედო შუქს გამოსცემდა. გულიდან გულზე ხმიანობდა „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები“, „ცა-ფირუზ, ხმელეთზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო“, „არწივი ვნახე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა“ და აღგზნებული ხალხი თავისუფლების განთიადისაკენ მიილტვოდა.

ილიას, აკაკისა და ვაჟას პოეზიის ინერციას მძლავრად ჰქონდა ფრთები გაშლილი.

ძნელი იყო ამ დროს პოეზიის ასპარეზზე ახალ პოეტს გამოჩენისთანავე მიეპყრო ყურადღება.

და აი, გაიელვა ახალი თაობის პოეტურმა სიტყვამ და მაშინვე ჯერ კიდევ ჭაბუკი სანდრო შანშიაშვილის ლექსი გამორჩეულად აჟღერდა. იწყებოდა რაღაც ახალი და ამ სიახლის ძიების გზაზე მერე და მერე სრულიად ახალმა პოეტურმა ნაკადმა იფეთქა.

რევოლუციის შემდეგ ქართული საბჭოთა პოეზიის საყოველთაო აღიარებისას სანდრო შანშიაშვილი მის სათავეებთან აღმოჩნდა და დღეს, როცა პოეტის დაბადების ოთხმოცდაათი წლისთავის იუბილეს ავღნიშნავთ, ქართულ ლიტერატურაში სანდრო შანშიაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა მკვეთრად არის გამორჩეული.

ჩემი თაობის მწერლები ერთმანეთთან საუბარში მას „ძია სანდროს“ ვეძახით. ახლა ჩვენ უკვე სამოცი წლისანი ვართ. კარგად გვახსოვს მწერლობაში პირველი ნაბიჯებიდანვე ბატონი სანდროს გულისხმიერი ყურადღება. ეს ის თაობაა, რომელიც ბავშობიდანვე მის ლექსებს „დედისერთა ლენინთან“ და „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“ ზეპირად გაიძახოდა და, ალბათ, ამ თაობის პოეტურ ფორმირებაში ამ ლექსმაც გარკვეული როლი ითამაშა.

მე და ჩემ მეგობარ პოეტებს ჭაბუკობიდანვე გვიზიდავდა ჩვენი სათაყვანებელი მგოსნების — ტიციან ტაბიძის. პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გიორგი ლეონიძისა და სხვათა სამაგალითო მეგობრული დამოკიდებულება სანდრო შანშიაშვილთან. ცისფერყანწელები მასზე ლექსებს წერდნენ და ჩვენ ეს ლექსები ზეპირად ვიცოდით:

> დაიფშვნა, მაგრამ მაინც აქამდე
> თავის ნანგრევებს უძლებს უჯარმა,
> გასტანოს, ძმებო, ჩვენ სიკვდილამდე
> ამ სიყვარულის ლექსის გუჯარმა.

ჩვენ გვიზიდავდა ძია სანდროს ნამდვილი ქართველური მეგობრობა ნიკოლოზ ტიხონოვთან და მიკოლა ბაჟანთან. ყურადღებით ვადევნებდით თვალს, როცა ისინი კახეთში დაჰყავდა, თავის მშობლიურ სოფელ ჯუგაანში, საკუთარ ჭერქვეშ ღამეებს ათევინებდა და ასე აყვარებდა მათ საქართველოსა და ქართულ პოეზიას. უეცრად ავიტაცეთ ოცდაათიან წლებში კახეთზე დაწერილი ნ. ტიხონოვის ერთი ლექსი, რომლითაც რუსი პოეტი ხარის რქებს შორის დანახულ ალაზნის ველს ადიდებდა.

ჩემი თაობის პოეტთა ბიოგრაფიაშიც, ალბათ, დიდი როლი ითამაშა ქართველ, რუს და უკრაინელ პოეტებთან შანშიაშვილის ამგვარმა ალალმა მეგობრულმა ურთიერთობამ.

სანდრო შანშიაშვილის მწერლური და ადამიანური ცხოვრება მაგალითი იყო ჩვენთვის და ასეთივე დარჩება მარად.

ვაჟას „ფშაველი ჯარისკაცის წერილის“ შემდეგ ძნელი წარმოსადგენი იყო აგრე ძლიერად გამოეხატა რომელიმე სხვა პოეტს ლექსში შორს, ომში მყოფი ქართველი ჯარისკაცის დედაშვილური გრძნობით გამთბარი გულისა და ნაღვლიანად მომლოდინე ცრემლგამშრალი დედის სახეები.

ვაჟას დიდებული ლექსის შემდეგ სიჭაბუკეშივე ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ს. შანშიაშვილის ლექსმა „დედისერთა ლენინთან“ და მას შემდეგ დღემდე ეს შთაბეჭდილება ოდნავადაც არ განელებულა.

> გარეთ ცივა... ჰქრის ქარი...
> მთვარე ვახშმობს მუხებში.
> დახშულია ჭიშკარი,
> აძევს კლიტე უხეში.
> დედაბერი მიმჯდარა
> ბუხრის ახლო კუთხეში,
> თვალში ცრემლი დამშრალა...
> მოხუცს ვინ სცეს ნუგეში?
> მუხლი მაინც უჭრიდეს,
> ხალხს შესძრავდა ომით ის.
> აღარ ძალუძს საბრალოს,
> შავ ძაძებში დრო მიდის.

ეს ლექსი ქართული საბჭოთა პოეზიის ოქროს ფონდს ამშვენებს და კიდევ დიდხანს მოხიბლავს თაობებს.

სანდრო შანშიაშვლი სიჭაბუკის დროინდელ ლექსში „ჩემი ჩანგური“ ასე გამოხატავს თავის პოეტურ მრწამსს: „ჩემი ჩანგური ღრმად შეეთვისა ხალხის სიხარულს და მწუხარებას“. მართლაც, მშობელი ხალხის სიხარულისა და მწუხარების გამოხატვას შეალია თავისი პოეტური ტალანტი ლექსებში. პოემებში თუ დრამატულ ნაწარმოებებში სანდრო შანშიაშვილმა.

ჭიაურის ტყეში იმ მრავლისგადამტან მუხას, რომელსაც შეუძლია ბევრი რაიმე გვიამბოს „თუ მეომარი მასთან ღამეს როგორ ათევდა“, ქონდრისკაცის ხელი შეეხო და ჰრის, „დაკვალთულ ხელში ბირდაბირი ღერღავდა მაყრულს“, „დაჭრილი მუხა აჯანყებდა ტოტების აფრას, სისხლი გადმოსკდა, როგორც ბულას ყელგამოღადრულს“. ღრმა სევდით არის განცდილი პოეტის მიერ ძლიერი მუხის დაცემა; შთამბეჭდავი მხატვრული სახეებით არის ლექსში გამოხატული ეს სევდა და თუმცა „დაეცა მუხა, ქონდრისკაცმა დაადგა ფეხი“, მაგრამ მუხის უდრეკი სული მაინც ტყის სულად რჩება და ნორჩ ხეებში გატოტდება ეს სული. ქონდრის კაცები ვერ დასცემენ მუხის უდრეკ სულს.

ქართული საბჭოთა პოეზიის მკაცრად შედგენილ ანთოლოგიას მუდამ დაამშვენებს ს. შანშიაშვილის ლექსი „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“.

წარმოუდგენელია ქართული საბჭოთა დრამატურგიისა და თეატრის განვითარება სანდრო შანშიაშვილის ღვაწლის გარეშე. რუსთაველის თეატრის ჰეროიკულ სპექტაკლებს და ალექსანდრე ახმეტელის რეჟისორულ ტალანტს დიდად უწყობდა ხელს ს. შანშიაშვილის გმირული შემართების პიესები „ანზორი“, „არსენა“, „გიორგი სააკაძე“, „კრწანისის გმირები“ და სხვა მრავალი.

დღეს ჩვენი თეატრების მიმართ ხშირად გაისმის სამართლიანი საყვედური, ეროვნული სპექტაკლების სიღარიბის გამო. ქართულ საბჭოთა დრამატურგიასა და თეატრს ამ მხრივ ოცდაათიან წლებში სამაგალითო ღვაწლი დასდო სანდრო შანშიაშვილმა.

მისი პიესების განხორციელება თეატრის სცენაზე ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცეოდა ხოლმე, ეს იყო ზეიმი დრამატურგისა და რეჟისორის, მსახიობისა და მაყურებლის. მახსოვს, როგორი აღგზნებული იყო ჩემი თაობის ახალგაზრდობა ამ სპექტაკლებით.

მუდამ ინტერესით ვადევნებდით თვალს ძია სანდროს ცხოვრებასა და შემოქმედებას. გვხიბლავდა ევროპაში განსწავლული, ფიზიკურად ძლიერი კაცის უბრალოება. მისგან მუდამ გამოსჭვივის ხოლმე ქართველი გლეხის ალალი და თავანკარა ბუნება.

ამ ათიოდე წლის წინ საქართველოში მ. გორკის დღეები ჩატარდა. უამრავი სტუმარი იყო ჩამოსული მოძმე რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდან. ძია სანდრო ლაღად ჩაება ამ დღესასწაულში. ბოლოს ფუნიკულიორზე დიდი ბანკეტი გაიმართა. ძია სანდრომ მიხეილ მრევლიშვილსა და ალექსანდრე გომიაშვილს უთხრა, ბიჭებო, ერთად დავსხდეთ, ერთი გვარიანად შევზარხოშდეთო. მეც მათთან აღმოვჩნდი. ძია სანდრომ გვარიანად მოილხინა, სამიოდე ბოთლი მიირთვა და იქედან ისე წამოვიდა, ოთხმოცი წლის ბერმუხას ღვინონასვამობისა არა ეტყობოდა რა.

დღეს სანდრო შანშიაშვილი ოთხმოცდაათი წლისაა და თვალმა უღალატა, თორემ ისევ მხნედ გამოიყურება. ამას წინათ ვიღაცამ იხუმრა კიდეც, ძია სანდროსთვის შემოქმედებითი და ფიზიკური უკვდავება ერთიდაიგივე ყოფილაო. დროდადრო ახალი ალალი ლექსებითაც გვახარებს ქართული საბჭოთა პოეზიის ეს ფესვმაგარი ბერმუხა და ადრე, სიჭაბუკის დროინდელ ლექსში რომ დარდიანობდა:

> მაშ ვინ მოგიკლა მცირე ხალისი?
> ის რა მოყვარე, ან რა მტერია?
> გულო, ქვად მექეც ,უგრძნობელ ყინვად,
> რომ ვეღარ ტირი, ვერც გიმღერია!

დღეს ახალი საქართველოს ჩანგურს მიმართავს:

> საყვარელო ჩანგურო,
> შენ, უხსოვარ დროისა!
> ჩემს ხელში ხარ, ვიმღეროთ,
> დრო წავიდა გლოვისა.

ასი წლის თავზე, ალბათ, მშობლიურ ჯუგაანში მიგვიპატიჟებს ძია სანდრო და მაშინაც ვუთხრათ ეს სადღეგრძელო:

— საწუთროს ქონდრისკაცები ვერასოდეს შეახებენ ხელს ქართული საბჭოთა პოეზიის ბერმუხას სანდრო შანშიაშვილს.

ლადო სულაბერიძე

# ი. გრიშაშვილის უცნობი ლექსი



ორიოდე წლის წინათ ჩემი ბიბლიოთეკის გულმოდგინედ გადათვალიერება მომინდა (სავალალოდ ამ მიზნისათვის დღემდე ვერ მიმიღწევია!).

ვაპირებდი კარადების წესრიგში მოყვანას. მსურდა გადამერჩია წიგნები, რომელთა სიმრავლე უკვე აუტანელი იყო და ამ ღონისძიებით როგორმე მეხსნა ჩემი მყუდრო, მაგრამ საკმაოდ მცირე მოცულობის კაბინეტი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების წარღვნისაგან.

ამ საკმაოდ რთული ამოცანის გადაჭრაში აქტიურ დახმარებას მიწევდნენ ჩემი მეუღლე და ჩემი „უმემკვიდრო მემკვიდრე" ერთადერთი ვაჟი.

ერთ საღამოს, ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატის" მხატვრულად გაფორმებული წიგნის თვალიერების დროს, ჩემმა ვაჟმა აღმოაჩინა ლექსი.

ამ ლექსის არსებობა მე, რასაკვირველია, მახსოვდა, მაგრამ დაკარგულად მიმაჩნდა და მიმავიწყდა.

ჩემს საკმაოდ ხანგრძლივ და საკმაოდ აწეწილ-აბურდულ ცხოვრების გზაზე ბევრი რამ სანუკვარი დამკარგვია, მაგრამ აღარ მიძებნია დაკარგული და აროდეს მიპოვნია იგი! ამ ლექსის აღმოჩენა მეტად მესიამოვნა. მან უეცრად კვლავ გააცოცხლა ესოდენ შორი წარსული, ის დღეები, როცა ახალგაზრდა ვიყავი და თანაც ბედნიერი! ბედნიერი? ნუ გაიკვირვებთ, ნამდვილად ბედნიერი! ეს გახლდათ ის დღეები, როცა ჯერ კიდევ ყველანი იყვნენ, ჯერ კიდევ არავინ მაკლდა — არც მშობლები, არც ისინი — ყრმობისა და ჭაბუკობის თანწრდილნი, პოეზიის ემბაზში ჩემთან ერთად განბანილი ძმები, რომელთა სახელების ჩამოთვლა მე ახლა მიმძიმს, რადგან ტკივილს იწვევს ისედაც საკმაოდ ნაიარევ გულში...

ძვირფასო სოსო! შენ ხომ ისეთი კაცი იყავი, რომელიც შეუძლებელია არ უყვარდეს მას, ვისაც ესმის, თუ რა არის მთელი არსებით სპეტაკი ადამიანი, სუფთა და ნათელი, ვისაც ესმის, თუ რა არის პოეტი მთელი მისი არსებით, რომელსაც ნამდვილად უყვარს და ნამდვილად ტკივა, პოეტი, რომლისთვის „წმიდათა-წმიდაა მშობელი მიწა, მშობელი ხალხი, და თავშესაწირავ ღვთაებად მიაჩნია ენა მშობლიური!"

დაუვიწყარო სოსო! მე აქ შენზედ დაგვიანებული ნეკროლოგის წერას როდი ვაპირებ! მე მხოლოდ გამათბო შენმა ლექსმა (მცივანა კაცი დავრჩი!) და ისევ დამანახა შენი სახე, შენი კეთილი გულიდან, შენს კეთილ სახეზე ყვავილივით გაშლილი ღიმილი, ისევ მომასმენინა შენი თავისებური წაკითხვა ლექსებისა, რაც ასე მოსწონდა ქართველ ხალხს!

მე ვიგონებ იმ ზაფხულის დღეებს, როცა ჩვენ ბორჯომში ვიყავით. მაშინ იქ, ჩვენთან ერთად, რამდენადაც მახსოვს, იყვნენ: კოტე მაყაშვილი, შალვა დადიანი, ნიკო ლორთქიფანიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, სერგო კლდიაშვილი, სანდრო ცირეკიძე, კიტა აბაშიძე, დია ჩიანელი, ლელი ჯაფარიძე, ნოე ჩხიკვაძე, პავლე ინგოროყვა, ჯაჯუ ჯორჯიკია.

იმ ხანებში თითქმის ქართველი მოწინავე ინტელიგენცია ბორჯომში ატარებდა ზაფხულს.

შეხვედრების დროს ჩვენი საუბრებისა და მძაფრი კამათის თემა, თავისთავად ცხადია, ხელოვნების საკითხი იყო, უმთავრესად კი ახალი პოეზიის საკითხი გახლდათ. ეს იყო ქართული პოეზიის აღორძინებისათვის, პროვინციალიზმის მოსპობისათვის წარმოებული მწვავე, შეურიგებელი ბრძოლის პერიოდი, ყოველგვარი დათმობის გარეშე!

ეს გახლდათ პერიოდი, როცა ქართველი ბურჟუაზიული და პროვინციული საზოგადოებისათვის საჭირო იყო დაგვემტკიცებია, რომ ვაჟა-ფშაველა ჩვეულებრივი, საშუალო და ხელწამოსაკრავი პოეტი კი არ არის, არამედ ქართველი ერის სიამაყე, რომ იგი დიდი მირონცხებული მგოსანია!

საჭირო იყო ყველასათვის ნათელი გამხდარიყო, რომ ნიკო ფიროსმანაშვილი სამიკიტნოებისა და სახაშეების აბრების მაწანწალა მჯღაბნელი კი არა, და არც რაფაელი და ლეონარდო იყო, რის მტკიცებასაც ჩვენ დაცინვით გვაწერდნენ, არამედ ბრწყინვალე, დიდი ტალანტის მქონე ქართველი მხატვარი-პრიმიტივისტი — მსოფლიო მნიშვნელობისა!

ყოველივე ეს მაშინ, ისე ადვილი და იოლი საქმე როდი იყო, როგორც ახლა ფილოლოგიის ზოგიერთ დოქტორს წარმოუდგენია!

... ცოტა ხნის შემდეგ, რაც ჩვენ ბორჯომში ერთმანეთს დავშორდით, თბილისიდან ქუთაისში მომივიდა იოსებ გრიშაშვილის ბარათი ჩემდამი მიძღვნილი სონეტით, რომელიც. საბედნიეროდ, არ დამკარგვია და ამ ჟურნალში იბეჭდება.

კოლაუ ნადირაძე

ჰუსეინ აბასზადე

# ვაზი

მხატვარი თენგიზ სამსონაძე

იმ სახლს, რომელშიც პატარა ოთახი ვიქირავე, ერთი ხელისგულისდადება ეზო ჰქონდა. ეზოში ვაზი ხარობდა. აქ, ბაქოში, პირველად გავიგონე, რომ ვაზს „ვენახს“ ეძახიან. ალბათ, იმიტომ, რომ ერთი ძირისაგან მთელი ტალავერი კეთდება. მიყვარს ვაზი. ჩემი ბავშვობა ხომ ვაზთან, ვენახში გავატარე.

ჰოდა, ბაქოს ამ პატარა ეზოში გაზრდილი ვაზიც გულით შევიყვარე. მის ფესვებს ასფალტი ფარავდა, რქა კი სახლის კედელს აჰყოლოდა მეორე სართულის აივნამდე, აქედან მეზობელი აივნებისკენ მიიკლაკნებოდა, დაჭიმულ მავთულებს მისდევდა. მაგრამ ამ ქალაქური ვენახის ყველაზე ლამაზი თალარი მესამე სართულის ერთ აივანზე მოეწყოთ. იქ ცხოვრობდა ასე, ორმოც წელს გადაცილებული ტანსრული, სანდომიანი სახის ქალი — მარზია-ხანუმი.

ამ სახლში სულ რაღაც მეორე წელია ვცხოვრობ. სამედიცინო ინსტიტუტში მოვეწყვე თუ არა, აქ, ერთი შორეული ნათესავის ბინაში დავსახლდი. სწორედ მათგან გავიგე, რომ მარზია-ხანუმს ჰყოლია ქმარი, კასპიის ზღვაზე ერთ-ერთი ტანკერის კაპიტანი ყოფილა. მეგობრულად ცხოვრობდნენ, მაგრამ შვილი არ შესძენიათ. მარზია-ხანუმს ქმარი გაყრია და ახალგაზრდა ქალი შეურთავს. მას აქეთ ოროთახიან ბინაში მარტო ცხოვრობს; რომელიღაც სამინისტროში ეკონომისტად მუშაობს. მოხდენილად იცვამს, ერთი სიტყვით, თავს უვლის. მაგრამ ჩემი მოთხრობა ამ ქალის თავზე დატეხილ დრამას როდი ეხება.

აკი ვთქვი, ვაზის ყლორტებით დამშვენებული მარზია-ხანუმის აივანი ეზოში ყველაზე მომხიბლავად გამოიყურებოდა-მეთქი. ჰოდა, ვაზის რქები ისე ოსტატურად იყო ერთმანეთზე გადახლართულ-გადაწნული, იტყოდით, აივანი უმშვენიერესი მწვანე ხალიჩით მოუფარდაგებიათო.

საღამოობით იქ ვხედავდი ხოლმე იმ ოქროსმარჯვენიან ოსტატს, ვინც ეს ჯადოსნური ხალიჩა მოქსოვა.

ადრიანი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ვიდრე ფოთოლცვენა დაიწყებოდა, მარზია-ხანუმი აივანზე „ჯადოქრობდა“, ხან ფურჩქნიდა, ხან ახვევდა, ყლორტებს ერთმანეთში ხლართავდა, რეზინის მილით ფესვებს წყლით უგრილებდა, ყოველი ფოთლიდან მტვერს რეცხავდა. მის აივანზე ვაზს მუდამ მაძლარი მწვანე ფერი ჰქონდა, ქალაქური სიყვითლის ავადმყოფური ლაქები არ გადაჰკრავდა.

„ჰქონდას“ ვამბობ, ვინაიდან ახლა იმ ეზოში ვაზის კვალიც აღარსად არის. მარზია-ხანუმის აივნის სვეტები გაიქუცა, გაშიშვლდა, აივანი თითქოს დაობლდა და დიასახლისიც იშვიათად თუ გამოჩნდება ხოლმე იქ...

ეს მოხდა აპრილის ბოლოს, როცა ჩვენს სამხრეთულ ქალაქში კვირტები იღვიძებენ. ვაზმა ქორფა ფოთლები გამოისხა. ზამთარში გარდაიცვალა მოხუცი აზად-დაი, ვინც ეს ვაზი დარგო და მეზობლებსაც ნება დართო, თითო რქა თავიანთ აივანზე გაეგრძელებინათ. ჰოდა, აზად-დაი გარდაიცვალა, ხოლო პაპის ოროთახიან ბინაში მისი ოცდაოთხი წლის შვილიშვილი ჩასახლდა ინჟინერ ქმართან ერთად.

სესიები ახლოვდებოდა. დილიდანვე ქიმიაში ვმეცადინეობდი. უცებ ეზოდან ხმამაღალი ლაპარაკი შემომესმა და აივანზე გავედი. გავედი და გაოცებისაგან ადგილზე გავშეშდი: მარზია-ხანუმის აივანზე იდგა აზადის შვილიშვილის ქმარი — ზაქი და მარზია-ხანუმის დახმარებით ვაზის ლერწმებს კანაფს ხსნიდა, მერე აშვებულ რქებს ქვევით უშვებდა, სადაც მეორე სართულის აივანზე მათ ნურჯაჰანი — მისი ცოლი „პატრონობდა“.

მარზია-ხანუმის შემხედვარეს გული მეტკინა. მუდამ მშვიდ, სიამაყით აღსავსე სახეზე დარდი და სიბრალული გადაჰფენოდა. ფანჯრებსა და აივნებზე მეზობლები გამომდგარიყვნენ დ მეზობლის აივანზე დატრიალებულ უბედურებას დაღვრემილი შეჰყურებდნენ. ეზოდან ბავშვების ყიჟინი ისმოდა. მაგრამ ნურჯაჰანის მჭექარე ხმა ყველაფერს ფარავდა.

— სწრაფად აუშვი! — ყვიროდა იგი თავისი აივნიდან, — ამდენ ხანს რითი ვერ ახსენი?!

გამხდარი, ვიწრობეჭებიანი ზაქი ცოლის ყვირილზე მხრებში აიწურა. მას უკვე აეშვა ყლორტები და ახლა მარზია-ხანუმთან ერთად გაჭირვებით იკავებდა იმოდენა წალამს.

— ნურჯაჰან, — გადმოსძახა ცოლს ზევიდან, — ძალიან ბევრი ტოტია, იქნებ, რამდენიმე რქა დაგვეტოვებინა, ჰა?!

— რას მიედ-მოედები! — ამოჰკივლა ნურჯაჰანმა, — ახლავე ყველა ძირს ჩამოუშვი! რა კარგია, პაპაჩემმა ვაზი დარგო, ახარა, გაზარდა, ნაყოფს კი სხვები მიირთმევენ, ყურძნით პირს იკოკლოზინებენ, თანაც ჩრდილში ნებივრობენ! ჩვენ რა, მაგათზე ნაკლები პირის გემო გვაქვს?! — და მან ისეთი გახელებით მოქაჩა ვაზი, რომ ყლორტების მძიმე ტევრი მარზია-ხანუმსა და ზაქის ხელიდან გაუსხლტათ და ეზოში ასფალტს დაენარცხა. გაისმა დამტვრეულ ლი რქების ტკაცანი.



მარზია-ხანუმი შეშინებული თვალებით დასცქეროდა აივნიდან ეზოში ჩამხვლეულ ვაზს და ტუჩები ისე უთრთოდა, საცაა აქვითინდებოდა. მის გვერდით გაოგნებული ზაქი იდგა და უაზროდ იყურებოდა. მეზობლები კი აივნებიდან და სარკმლებიდან ერთმანეთს თავიანთ გულისტკივილს უზიარებდნენ.

ნურჯაჰანი გაცხარდა, აივნის რიკულებს გადაეყრდნო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიღრიალა:

— აი, რაებს კადრულობ, მარზია-ხანუმ! არც კი გრცხვენია! რამდენ წელიწადს მიირთმევდი ჩვენს ყურძენს, ახლა კი, როცა ჩემს აივანზე ჩრდილში ჯდომა მეც მომინდა, ვაზი ეზოში გადაუძახეთ, არა?! თუ გგონიათ, რომ უფლება არა მაქვს ჩემი ვაზი უკან დავიბრუნო, ჰა?! არა, იცით ვისთან გაქვთ საქმე? ამით მხოლოდ საკუთარ თავს ავნებთ. ძალზე ცხარე ძმარი მხოლოდ საკუთარ ჭურჭელს აფუჭებს... იქნებ ორიხამი რქა მაინც დამეტოვებინა, ახლა კი ერთსაც ვერ მიიღებთ!

— მომისმინე, ნურჯაჰან, — სცადა გამოქომაგება ზაქიმ, მაგრამ განა ვინმეს შეეძლო ამ ქალის შეჩერება?!

— შენ რაღას უყურებდი? თავიდანვე ვიცოდი, ნებით ეგ ვაზს არ დაგვანებებდა, შენ კი მანდ დგეხარ და თვალებს აბლატუნებ! — მივარდა იგი ქმარს.

— ნუ ყვირი! — დაიღრიჯა ზაქი და საჩქაროდ შემრიგებლური ხმით დაუმატა, — მარზია-ხანუმს არ ჩაუგდია ვაზი. ორივეს გვეჭირა, მაგრამ ხელიდან გაგვისხლტა.

ყველამ დაინახა, რომ ვაზი ნურჯაჰანმა მოქაჩა და ამიტომ ჩავარდა, მაგრამ ზაქის ეს რომ ეთქვა, ისეთი ქარიშხალი დაატყდებოდა, სიკვდილი სანატრელი გაუხდებოდა. აბა, სხვას ვის უნდა სცოდნოდა მისი ცოლის ხასიათი, თუ არა ზაქის?!

— უყურეთ ერთი, რომ იცავს კიდეც? — ხმას აუწია ნურჯაჰანმა, — თუ გგონია დავბრმავდი და ვერ დავინახე მაგ ქალბატონმა როგორი გამეტებით მოიქნია ვაზი?!

უცებ ბავშვებმა ეზოდან ერთხმად დაიყვირეს:

— ვაზი მარზია-ხანუმს არ ჩამოუგდია! არ ჩამოუგდია! თქვენ თვითონ მოქაჩეთ და ჩამოაგდეთ!

— ჰაი, თქვე არამზადებო, ხმა ჩაიწყვიტეთ! — დაიღრიალა ნურჯაჰანმა და ბავშვებს მუშტებით დაემუქრა.

— ბავშვები მართალს ამბობენ, ნურჯაჰან, შენ ისე მოქაჩე, რომ ველარ შევიმაგრეთ. აი, შეხედე! — აჩვენა დაკაწრული ხელის გულები, — ეს იმიტომ მოხდა, რომ ველარ შევიკავე. ქვეყანა ხომ არ დაქცეულა — რამდენიმე ტოტი მოტყდა და ეგ არის, თვითონ ვაზი კი მთელია. ამდენ ყვირილად არ ღირს, — ხმადაბლა ჩასძახა მარზია-ხანუმმა, მაგრამ მისი ნათქვამი მთელმა ეზომ გაიგონა.

— ერთი შეხეთ, რა ანგელოზად მოაქვს თავი! მარტო ეგ არის ღვთისნიერი, სხვები კი ღვთისპირიდან გადავარდნილები ვართ! თუ ეგეთი კარგი ქალი იყავი, ქმარი რატომღა გაგექცა, ჰა?!

სახტად დარჩენილი მარზია-ხანუმი სწრაფად შეტრიალდა და ოთახში შევიდა. ადვილი წარმოსადგენია რა თავზარის დამცემი იყო მისთვის ეს სიტყვები. მეზობლებმა ნურჯაჰანი გაკიცხეს, შეარცხვინეს, მაგრამ კედელს ცერცვი შეაყარეთ, ყველას პასუხს აძლევდა და თან ვაზს თავისი აივნისკენ ეწეოდა.

ნელ-ნელა ყველანი გაიკრიფნენ, მხოლოდ მე დავრჩი აივანზე, შევყურებდი მარზია-ხანუმის ბინის ფანჯრებს, თვალისთვის მიუჩვეველ მოფუტკნულ აივანს და გული მტკიოდა. მერე დავინახე, როგორ გამოვიდა ჩვენი სადარბაზოდან პენსიონერი მასწავლებელი იმამვერდი, ფიკუსიანი ქოთანი გამოიტანა, ფლოსტების ფრატუნით ეზო გადაჭრა და მეორე სადარბაზოში შევიდა. მალე მარზია-ხანუმთან ერთად მის აივანზე გამოჩნდა.

— რატომ შეწუხდით, იმამვერდი-დაი?! — მომესმა მარზია-ხანუმის ხმა.

— ეს ფიკუსი აქ იდგეს, — მიუგო მასწავლებელმა და ქოთანი ძირს დადგა, — ჩემი თვალები მიეჩვივნენ შენი აივანი მწვანედ რომ ხასხასებდა. ახლა დრო არ არის, შემოდგომაზე კი, თუ ვიცოცხლე, ეზოში ვაზს დავრგავ, გაიზრდება და შენ აივნამდე ამოვიყვან. ვაზი მალე იზრდება!.

— ულრმესი მადლობა, იმამვერდი-დაი, — მიუგო მარზია-ხანუმმა, — ასეთი მძიმე ქოთანი მესამე სართულზე როგორ ამოიტანეთ?!

მოხუცმა წასვლა ვერ მოასწრო, კიდევ რამდენიმე მეზობელმა რომ შეაღო მარზია-ხანუმის ბინის კარი, ყვავილიანი ქოთნები მიუტანეს. საღამოს აივანი უკვე მწვანეში იყო ჩაფლული.

მთელი თვე გავიდა. იმის მიუხედავად, რომ მაისის მშვენიერი დღეები იდგა, ნურჯაჰანის აივანზე ჩამოფაფრული ვაზის ფოთლები შესამჩნევად დაჭკნა, გაყვითლდა და ერთხელ, დილაადრიან, კვლავ შემოგვესმა ნურაჯაჰანის წყევლა-კრულვა:

— აგრემც ხელები გახმობია, ვინც ეს ჩაიდინა! ხალხო, ერთი ნახეთ, რა ბოროტება ჩაიდინეს! აგრემც იმ არამზადას ხელი მოსტეხია!..

მეზობლები კვლავ სარკმლებში გადმოეყუდნენ, აივნებზე გამოლაგდნენ. მეც უმალ გარეთ გავჩნდი.

ნურჯაჰანი ეზოში, სადარბაზო შესავლელთან იდგა, ხელში გადახერხილი ვაზის ძირი ეჭირა და ვიღაცას უშვერი სიტყვებით იხსენიებდა.

მკლავის სიმსხო ვაზი ვიღაცას ძირში გადაეჭრა, მერე ტალახი წაესვა, არ შეამჩნიონო.

ვინ ჩაიდინა ეს ბოროტება არ ვიცი. იქნებ, ვერც ვერასოდეს გავიგო; რომელიმე ონავარი ბიჭუნა თუ იზამდა.

ხმაურსა და ყვირილზე მარზია-ხანუმიც აივანზე გადმოდგა, ქვევით ჩაიხედა და ყველაფერს მიხვდა, მერე კედელს მიეყრდნო და უხმოდ ატირდა. დიახ, თვალნათლივ ვხედავდი, როგორ დასტიროდა იგი დალუპულ ვაზს.

თარგმნა დიმიტრი გულისაშვილმა.

# რუმინეთო, რუმინეთო!

## ოთარ შალამბერიძე

### ბუნა ზივა, რომანია!

სიყვარული ხომ არ ჰქვია,
ცახცახით რომ გული გენდო?!.
ბუნა ზივა, რომანია, —
დღეკეთილი, რუმინეთო!..

შინ მინდა და არ მეთმობი,
რა ჯადო გაქვს ამისთანა?
ძმობის ლაზათს გავენდობი,
გავიდარებ დარის დარად!..

მთების ამბრი მოაქვს ნიავს,
მთებო,ცნობას ნუ მირევთო;
ბუნა ზივა, რომანია, —
დღეკეთილი, რუმინეთო!..

გზაში ვარ და ბურანში ვარ,
გულთბილ კერას ვეთვისები;
ბუნა ზივა, ბუნა ზივა,
მუდამ გევლოს კეთილ გზებით!

აქეთ-იქით სიმინდები,
შიგ ჩაკარგვის შიში მბოჭავს...
მწვანე ფერით ვიბინდები
და მარტვილი ბინდში მოჩანს!..

რა ნაცნობი ქორალია —
ჰოოპუნა უვლის ფერდობს!
ბუნა ზივა, რომანია, —
დღეკეთილი, რუმინეთო!

ბუქარესტი

### ბუკოვინა

ჰორიზონტზე
არ ჩანს ნისლის ნაფერთალიც,
ცა მტრედისფრად
მოუქობავს თითქოს ფარგალს...
ბუკოვინა —
რუმინეთის ბეჭდის თვალი,
იქნებ უფალს
ამ მხარეში დაეკარგა?!
ჩუქურთმები...
ჩუქურთმები შუქ-რონინა
ლოცვას მთხოვენ...
ლოცვას როგორ დავზარდები?
ბუკოვინას,
ჩემნაირად უქო ვინა,
ეგ მომწვანო
ფრესკები და ფასადები?!
ბუკოვინა,
მშვენიერი ბუკოვინა,
ტურისტების
ხარბი მზერით იძარცვება;
მძიმე წარსულს
აქ დაედო მყუდრო ბინა
და წარსული
მოჩანს, როგორც მიზანსცენა!..
სულის მოთქმა
შეიძლება მხოლოდ ლექსით,
ფიქრის თვალით
თუგინდ ცხრა მთას გადასწვდები,
სუჩევიცა...
მოლდოვიცა...
ვორონეცი...
ერთურთს ცვლიან
ბუკოვინას პატარძლები!..
ჰორიზონტზე
არ ჩანს ნისლის ნაფერთალიც,
ცა მტრედისფრად
მოუქობავს თითქოს ფარგალს...
ბუკოვინა —
რუმინეთის ბეჭდის თვალი,
უფალს სწორედ
ამ მხარეში დაუკარგავს!

ბუქარესტი

### ლოცვა ანთიმოზ ივერიელისა

ღმერთო!
ძე შენი
გეაჯები ხელაპყრობილი,
უწინ ტყვექმნილი,
ნაშელი და ბერად ხმობილი:
სულის სალბუნად
განუხილე მოძმეთა ჩემთა
ღაღადი ესე —
სიმწრის ცრემლით შე-რა-ღობილი!.
მშვიდად მიმგზავრე
ივერიას ბერი ვლახელი,
კაცი ერთგული,
ბევრის მცოდნე,
ბევრის მნახველი.
მიეც ილაჯი,
რათა ცხადყოს უნარი სრული
და ქართულ ანბანს
შთაებეროს
უკვდავი სული!
მე კი,
რამეთუ
ვაებისგან არ მქონდა მოცლა,
აქ დავასრულებ
ბალღობაში დაწყებულ ლოცვას.
ფარული ეჭვი
დააბუდეს სულში ზარებმა —
ნუთუ, მოვკვდები
ივერიის უზიარებლად?!
ო, ივერია!
ჩემი ბედის იერიქონი!
გზა ცხოვრებისა —
დაკარგული ერთი სტრიქონი.
აქ, ბუქარესტში,
ჩემეული საყდრის ლოდები
გაპოხილია
გაყიდული ბალღის გოდებით!..
ეს უცხო მხარე,
მოუვასივით რომ შევეთვისე,
მპირდება ალერსს
და განუცდელს ჩემგან კეთილ
სვეს.
ღმერთო!
ძე შენი
გეაჯები ხელაპყრობილი,
მისმინე თხოვნა,
სიმწრის ცრემლით შე-რა-ღობილი.
შემაძლებინე,
რომ საქმე ვქნა,
მართლაც ზღაპრული, —

წიგნი პირველი
ხალხს მივუძღვნა
აქ დასტამბული.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# სვანეთი დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ თურქიას ფოტო















ეროვნული ბიბლიოთეკა











ეროვნული
ბიბლიოთეკა










# სვანეთი დღეს

დიდი გარდაქმნები მოხდა ამ ბოლო წლებში მესტიის რაიონში. პარტიისა და მთავრობის მზრუნველობის შედეგად გაიჭრა, აშენდა და დამშვენდა ჯვარი—ხაიში—მესტიის ახალი მოასფალტებული გზა. უძველესი მამა-პაპური კოშკების მხარდამხარ დაიდგა მაღალი ძაბვის ელექტროდენის გადამცემი კოშკები. მაღალ მწვერვალებზე აღიმართნენ ტელეგადაცემათა მიმღები ნაგებობანი უნიკალური აპარატურებით. რაიონში აშენდა ბევრი სკოლა, საბავშვო ბაღი და ბაგა; დაბა მესტიაში აღიმართა ახალი კინო-თეატრი, სასტუმრო „თეთნულდი", ხოლო სხვა სოფლებში—ფერმები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა, საყოფაცხოვრებო მომსახურების კეთილმოწყობილი შენობები. სვანეთი აღმავლობის გზაზე დგას.

ჩანართის პირველ გვერდზე:

მესტია.

ზურულდის მთაზე აღმართული ტელეგადაცემათა მიმღები აპარატურა.

მეორე გვერდზე:

სვანეთის პეიზაჟს ახალი კოშკიც შეემატა.

ლამპიონებით გაჩაღებული ამ გზით შედიხარ დაბა მესტიაში.

ახალი სასტუმრო „თეთნულდი".

მესამე გვერდზე:

სვანური სოფლის შუკა.

ტელევიზორები მოიტანეს.

ახალი გზა.

ბებია და შვილიშვილები.

უშგულელი ბიჭუნები.

მეოთხე გვერდზე:

სვანური სოფელი.

ახალი გზა კლდეებს შორის.

ახალი კინოთეატრის შესასვლელთან.

ძველებურ მარხილებს შორის.

თიბვის წინ.

მხცოვანი უშგულელი დავით ჩარქსელიანი.

# ცხელ-ცხელი ამბები

## იუბილარი ტრაქტორი

საბჭოთა კავშირში ამას წინათ კონვეიერიდან ჩამოვიდა მეათმილიონე ტრაქტორი.

სამამულო წარმოების პირველი ტრაქტორი ვოლგოგრადის სატრაქტორო ქარხანაში დამზადდა 1930 წელს.

ჩვენს ქვეყანაში დამზადებული ტრაქტორები ამჟამად მსოფლიოს 60 სახელმწიფოში იგზავნება.

## ახალი შახტი

ციმბირში, კემეროვოს ოლქში მწყობრში ჩადგა ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დიდი ქვანახშირის შახტი.

საუკეთესო თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი შახტი სახალხო მეურნეობას ყოველწლიურად მიაწვდის 7.500000 ტონა მაღალხარისხოვან ქვანახშირს.

## იცავენ ჰაერის სისუფთავეს

ტალინში დღე და ღამე ადევნებენ თვალყურს ჰაერის სათანადო სისუფთავის დაცვას. სამრეწველო ობიექტების მახლობლად განლაგებული ავტომატური სადგურები სისტემატურად გადასცემენ ინფორმაციებს ცენტრალურ ლაბორატორიას.

თუ მავნე კომპონენტების შემადგენლობა ძალიან უახლოვდება დასაშვებ ზღვარს, ჰაერის სისუფთავის დაცვის სამსახურს უფლება აქვს დაუყოვნებლივ დახუროს სამრეწველო საწარმო.

## კარგი საჩუქარი

დასასტამბად მზადდება ფუნდამენტალური ნაშრომი „საბჭოთა კავშირის არქეოლოგია".

იგი 16 ტომს მოიცავს, უხვად არის ილუსტრირებული ნახატებით, რუკებით, სქემებით.

არქეოლოგიური ენციკლოპედიის პირველი ორი ტომი უკვე გადაეცა სტამბას. დაინტერესებული მკითხველები მალე მიიღებენ კარგ საჩუქარს.

## აფეთქების საშუალებით

ლენინგრადელმა სპეციალისტებმა შექმნეს სპეციალური მანქანების კომპლექსი, რომელიც საშუალებას იძლევა სამელიორაციო არხები მოეწყოს... აფეთქების საშუალებით.

თვითმავალი მანქანების სისტემა წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ დაჭაობებულ ადგილებში, აგრეთვე მუდმივი გამყინვარების რაიონებში.

## ხუთი საბადო

კარელიის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში გეოლოგებმა ამას წინათ აღმოაჩინეს წიაღისეული სიმდიდრის ხუთი ახალი საბადო.

აქაური მარმარილო და გრანიტი დიდი მოწონებით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში. მშენებლები მალე მიიღებენ კარელიურ საამშენებლო და მოსაპირკეთებელ ახალ მასალებს.

## ორიგინალური ქსოვილი

ტაშკენტელმა ფეიქრებმა, საგანგებოდ შემუშავებული ტექნოლოგიური პროცესის გამოყენებით, ამას წინათ დაამზადეს ქსოვილი, რომელსაც ვერც მცხუნვარე მზის სხივები უკარგავს სასიამოვნო ფერადოვნებას და ვერც მრავალჯერ გარეცხვა ახუნებს.

მოძმე რესპუბლიკაში დამზადებულ ასეთ ქსოვილებს მალე მიიღებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები.

## „მზის სხივები"

მოლდაველმა სპეციალისტებმა დაამზადეს ავტომატური მოწყობილობა, რომელიც ზამთრის სუსხიან დღეებში უხვად აფრქვევს „მზის სხივებს".

ასეთ მოწყობილობის გამოყენება უკვე დაიწყეს მეფრინველეობის ფერმებში.

ცდებმა ნათელყო, რომ ხელოვნური „მზის სხივები" მნიშვნელოვნად ამაღლებს ქათმების კვერცხმდებლობას.

## კონკურსი—„ოლიმპიადა—80"

„ოლიმპიადა—80"-ის მონაწილეებისათვის ვინ დაამზადებს უკეთეს საუზმეს, სადილს, ვახშამს? აი, ამას მიეძღვნა კონკურსი, რომელიც ამას წინათ ჩატარდა ტალინში.

კონკურსში ესტონეთის ყველა საუკეთესო შეფ-მზარეულმა მიიღო მონაწილეობა.

ჟიურიმ მაღალი შეფასება მისცა მთელ რიგ ნაციონალურ კერძებს.

# [illegible] ფურცლებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ჩვეულება სადილის დროს

ინგლისის უმაღლეს საზოგადოებაში ახალი ჩვეულება შემოუღიათ. სადილის დროს, ყოველი ახალი კერძის შემოტანის შემდეგ, მანდილოსანი კავალერს იცვლის, ე. ი. კავალერი სხვა ადგილას გადადის. გადასვლა არც კია საჭირო: სკამები ისეა დალაგებული, რომ კერძის გათავების შემდეგ, დიასახლისი თითს აჭერს განსაკუთრებულად მოწყობილ ზარს და კავალრიანი სკამები ერთი მანდილოსნიდან სხვასთან გადაინაცვლებს.

ინგლისელების აზრით ასე უფრო მხიარულად შეიძლება დროს გატარება.

## ცეცხლის წინააღმდეგ ბრძოლა

მოგეხსენებათ, ჩიკაგო უზარმაზარი ქალაქია. მცხოვრებთა რიცხვი ამ სამრეწველო ქალაქში დღეს ორ მილიონს აღემატება. რადგან ამ დიდ ქალაქში ცეცხლი ძალიან ხშირად ჩნდებოდა, ამერიკელებმა გამოსცეს კანონი. ამ კანონის ძალით მაღალი სახლები უნდა აშენდეს ისეთი მასალისაგან, რომელსაც ცეცხლი ვერას აკლებს. ამგვარი სახლის კედლები, სახურავი, ჭერი, კიბეები ქვისა ან ბეტონისა, ან კიდევ რკინისა უნდა გაკეთდეს. რკინას უსათუოდ უნდა შემოეკრას პორტლანდის ცემენტი ან თიხა. ეხლა ჩიკაგოში სულ ასე აშენებენ სახლებს. ამას წინათ თოთხმეტ თვეში ააგეს ცხრამეტ სართულიანი უზარმაზარი შენობა, რომელსაც რკინის კარების ნაცვლად გაუკეთეს ხის კარები, მხოლოდ სპილენძი შემოარტყეს. ასეთი კარები ცეცხლისაგან სრულიად უვნებელია.

## გრამოფონი

ერთ მოხერხებულ ამერიკელს ძალიან ოსტატურად გამოუყენებია გრამოფონი. ეს ამერიკელი ვაჭარი ქუჩა-ქუჩა დადის და გასაყიდი საქონელი ურმით დააქვს. ბევრი ყვირილისაგან საწყალს ხმა დაეკარგა. დიდ საგონებელში ჩავარდა, მაგრამ ბოლოს ადგა, იყიდა გრამოფონი და დადგა თავის ურემზე. ეხლა ეს გრამოფონი ამბობს ხმა-მაღლა იმას, რასაც წინათ თვითონ ვაჭარი ამბობდა.

## მდუმარების კლუბი

ინგლისელ მანდილოსანს, ჰერცოგ ლიდის მეუღლეს, განუზრახავს ახალი კლუბის დაარსება. კლუბი არსდება ლონდონში და წევრებად მარტო ქალები უნდა იყვნენ. კლუბის წევრებმა მიღების დროს აღთქმა უნდა დასდონ მდუმარებისა, ესე იგი ბევრი ლაპარაკი აღკვეთონ. სწორედ კარგი აზრი მოსვლია ჰერცოგის მეუღლეს, და ურიგო არ იქნება, იმის მაგალითს ჩვენებურმა ქალებმაც მიჰბაძონ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხარძიანების დიდი ოჯახი



...1955 წელია; თვრამეტი წლის ჭაბუკები სამშობლოს დამცველთა რიგებში გაგვიწვიეს.

სამხედრო სკოლაში მე და გურამ ხარძიანი ერთად ვმსახურობთ. გურამი მაღალი, გამხდარი ჭაბუკია. სახეზე ყოველთვის ღიმილი დასთამაშებს. ხანდახან ისე მძიმედ ამოიოხრებს, გეგონება, გულს ამოატანსო.

მაგრამ აი, გურამმა შინიდან წერილი მიიღო და სახეგაბრწყინებული შემომცქერის.

— რაო, გურამ? — ვეკითხები მე, — ვისმა წერილმა გაგახარა ასე?!

გურამი სურათს მაწვდის. იქიდან თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის მშვენიერი ქალიშვილი შემომცქერის.

— ცოლია ჩემი, ჩემი დიასახლისი; შვილს ველოდებით, მწერს.

— ადრე დაოჯახებულხარ, ბიჭო!

— მიყვარდა. ერთად ვსწავლობდით პედაგოგიურ ტექნიკუმში... ეჰ, სამი წელი უნდა მელოდოს! — ისევ ოხრავს გურამი.

1956 წლის მაისი. უკიდურესი ჩრდილოეთი, ცადატყორცნილი ნაძვები. არყის ხეების ტყეტყისმჭრელთა ბრიგადა ცადატყორცნილ ხეებთან დგას. აგერ ჩაირთო დენი, ამუშავდა ელექტროხერხი. მე მებიჭგე ვარ, გურამი — ხის მჭრელი. უეცრად ტყეში აქაფებული ცხენი მოაგელვა ზემდეგმა ვასილკოვმა.

— ხარძიანო. მახარობელი ვარ, ბიჭი შეგეძინა, ბიჭი! — ვასილკოვი გურამს დეპეშას აწვდის.

...ოცდაორი წელი გავიდა მას შემდეგ. ამ ხნის მანძილზე მე და გურამს ერთხელაც არ გვინახავს ერთმანეთი, თუმცა მის შესახებ ყველაფერი ვიცი.

გურამი ახლა თოთხმეტი შვილის მამაა! უნდა მოვინახულო გურამი. მისი ოჯახი, — ეს სურვილი რახანია ამეკვიატა.

ზუგდიდ-ხაიშ-მესტიის ავტობუსი სულ უფრო და უფრო მაღლა ადის. ავტობუსში ერთი ქერათმიანი კაცი შევიცანი. ისიც დამაკვირდა. გრიშა ჯაფარიძე იყო; სამი წელი ჩვენ ერთად ვმსახუ-

რობდით ჯარში. იგი მესტიის გაზეთის ფოტოკორესპონდენტია.

— საიდან სადაო? — მეკითხება გრიშა.

— გურამ ხარძიანთან მივდივარ, მომენატრა!

— ო, გურამთან? თოთხმეტი შვილის მამასთან? გურამი ახლა რაიონში საჩინო კაცია. მშვენიერი ოჯახი აქვს. ბევრი იშრომა გურამმა, დღელამეს ასწორებდა, რომ ოჯახი ოჯახს დამსგავსებოდა. ცოლი პედაგოგი ჰყავს, თითონ თოთხმეტი წელი კალჰესის მექანიკოსად მუშაობდა. გურამი სასოფლო საბჭოს დეპუტატია; ახლა იგი კალის აგროუბანს ხელმძღვანელობს. შრომას კარგად უთავსებს საზოგადოებრივ საქმიანობას. როცა იგი პლენუმებსა და თათბირებზე გამოდის, უნდა მოუსმინო რა საქმიანად ლაპარაკობს, ყველას პატივისცემას იმსახურებს. მის ოჯახს არაფერი აკლია. ცოლ-ქმარს შრომა უყვარს და დოვლათიც ბევრი აქვთ! — მიამბობს იგი.

ბევრმა სვანმა მიატოვა მთა და ბარში დასახლდა. გურამ ხარძიანი მამაპაპისეულ სახლში დარჩა. ძველ სახლს მეორე სართული დააშენა. ქართული დარბაზი გამართა.

...ავტობუსი კვლავ მაღლა-მაღლა მიიწევს. უფსკრული... უსიერი ტყე... ქვევით რჩება ენგურის ხეობა. გამოჩნდა სოფელი, ცათაზიდული სვანური კოშკები...

საღამოვდებოდა კალაში რომ ავედით. მძღოლი გავუშვით და გურამ ხარძიანის სახლისაკენ გავწიეთ.

ენგურზე გადასასვლელ ხიდთან მოხუცი შემოგვხვდა.

— სტუმრები ხართ, შვილებო? თუ ნაცნობთან არ მიდიხართ, ჩვენთან წამობრძანდით! — გვეპატიჟება იგი.

— გმადლობთ. გურამ ხარძიანთან მივდივართ! — ვუთხარი მე.

— დალოცე უფალო; კვირიკეს მადლი შეეწიოს გურამის ოჯახს! — თქვა მოხუცმა და გზა განაგრძო.

ის იყო გზას უნდა დავდგომოდით, მთის ფერდობიდან დაშვებული მხედარი რომ შევნიშნეთ. როცა ჩამოივაკა, ცხენი ყალყზე შეაყენა და ბერიკაცს გამოელაპარაკა. მოხუცმა ჩვენზე ანიშნა, მხედარი ჩვენკენ გამოქანდა.

— გურამი! — შევიცანი მე.

გურამი ცხენიდან ჩამოხტა, ერთმანეთს გადავეხვიეთ.

●

„...უზარმაზარი სვანური დარბაზი დათვის ტყავებით და ჯიხვის რქებითაა მორთული, ნოხი თოფიარაღით გაწყობილი.

— ბადრი, ჯოყოლა, თამილა, მაია, ჯამბულათი, ფატიმა, ლალი, გაბრიელი, ბესიკი, ბერდია, ბაია, ნუშნარა!—გვაცნობს თავის შვილებს გურამი—ესენი—ბორისი და ლელა ტყუპები არიან!—გვეუბნება იგი და აკვანში მწოლიარე ბავშვებზე გვანიშნებს...

სოფელ კალაში ოთხმოცდახუთმეტი ოჯახი ცხოვრობს. ხარძიანების უბანში კი ოცდათხუთმეტი ხარძიანის მამაპაპური ოჯახია.

კალაში არის ფოსტატელეგრაფი, სასადილო, მაღაზია, საშუალო სკოლა, საავადმყოფო, სკოლა-ინტერნატი, მწველავებისა და მწყემსების საცხოვ-

(გაგრძელება მე-14 გვერდზე)

# ნასაკირალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ისტორიის გაცოცხლებული ფურცელი)

ცხრაასიანი წლები, როგორც რუსეთში, ასევე ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის დიდი აღმავლობის პერიოდი იყო. მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენეს საქართველოს მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ. საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ მძლავრ ბირთვს წარმოადგენდა ბათუმისა და გურიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები. 1904 წლის 23 იანვარს ჩატარდა გურიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის II ყრილობა, რომელმაც განიხილა თვიმპყრობელობასთან ბრძოლის საკითხი და მიიღო სათანადო დადგენილებები.

1905 წლის რევოლუციის ქარიშხალი მასიურად მოედო საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს. რევოლუციის ცეცხლის ალში გახვია მთელი გურია.

„გურიის გლეხთა მოძრაობა, — წერდა გაზეთი „ვპერიოდი“, — იშვიათი მოვლენაა მსოფლიო ისტორიაში. ეს გლეხთა ჩვეულებრივი აჯანყება კი არ არის, არამედ სავსებით შეგნებული პოლიტიკური მოძრაობაა, რომელიც მთლიანად ემხრობა რუსეთის პროლეტარიატის შეგნებულ მოძრაობას“.

გურიის ამბებმა სერიოზულად დააფიქრა მეფის მთავრობა. ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალები მოამზადა რევოლუციის ჩასახშობად. შეიქმნა სპეციალური სამხედრო ნაწილი ე. წ. „დამსჯელი ექსპედიცია“ გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით.

მეფის მოხელეებმა ეშმაკურ ხერხს მიმართეს: ვიდრე დამსჯელ ექსპედიციას აამოქმედებდნენ, ხალხის დასაშოშმინებლად, მათთან საერთო ენის გამოსანახავად და მოსალაპარაკებლად გურიაში გააგზავნეს ცნობილი ლიბერალი, მთავარმართებლის საბჭოს წევრი კრიმ გირეი.

ყველგან, სადაც მთავრობის შუამავლად წარგზავნილი ჩავიდა, მასიურად ეწყობოდა ხალხმრავალი მიტინგები. კრიმ გირეი გლეხებს მეფის ერთგულებისა და სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა, გლეხები კი მტკიცედ და გაბედულად აყენებდნენ მთავრობის საწინააღმდეგო მოთხოვნილებებს.

1905 წლის 23 თებერვალს კრიმ გირეი ბახვის საზოგადოებას ეწვია. ბახველებმა ყველა გურული გლეხის სახელით საგანგებო მოთხოვნები ჩამოაყალიბეს სპეციალურ დოკუმენტში, რომელიც „ბახვის მანიფესტის“ სახელით შევიდა საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

კრიმ გირეის მისიამ გურიაში ვერ გაამართლა მთავრობის იმედი. პირში ჩალაგამოვლებული მოხელე სწრაფად გაიწვიეს უკან.

მთავრობამ გადაწყვიტა მკაცრად დაესაჯა ურჩი გლეხები. ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიცია ოზურგეთის მაზრას შეესია. დაიწყო სასტიკი რეპრესიები — დაპატიმრება, ხალხის აწიოკება, ქლეტა.

ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის გაუგონარი რბევის საწინააღმდეგოდ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში საპროტესტო მიტინგები იმართებოდა. მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია და თავისი ჯალათი გენერალი გურიიდან გამოეწვია.

1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ნასაკირალის ცნობილი შეტაკება, რომელიც ოზურგეთ-ჩოხატაურის გზაზე მოხდა ნასაკირალის უღელტეხილთან.

ჩოხატაურიდან მომავალ კაზაკებს, რომლებიც გზადაგზა მოსახლეობას აწიოკებდნენ, მოულოდნელად თავს დაესხა გლეხთა შეიარაღებული რაზმი.

ნასაკირალის უღელტეხილთან გაჩაღდა ფიცხელი ბრძოლა. გურული გლეხები მედგრად და თავგამოდებით უტევდნენ პლასტუნთა თავითფეხებამდე შეიარაღებულ ძალებს. ბრძოლა მეორე დღესაც გაგრძელდა.

გლეხებს სათავეში ედგნენ დათიკო შევარდნაძე, კიკია მამულაიშვილი, ნესტორ ერქომაიშვილი, უთანასწორო შეტაკებაში გმირულად იბრძოდნენ სერგო მეგრელიშვილი, ნიკოლოზ ლესელიძე, სიო კალანდაძე, სეფე ცინცაძე, სოგო ჰანტურიშვილი, კირილე უჯმაჯურიძე, კოსტა ცინცაძე. ბესარიონ ზაქარიაძე, ილარიონ დობორჯგინიძე, ივანე გაგუა, გიორგი დუმბაძე, ერმალო ანდღულაძე, კანო კალანდაძე, სანდრო თავართქილაძე, ვლადიმერ დარჩია და სხვ.

გლეხთა მებრძოლი რაზმების მიერ პლასტუნთა შეიარაღებული ძალების სასტიკად დამარცხებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

აღსანიშნავია, რომ რუსული ლიტერატურის კორიფე — ლევ ტოლსტოი აღფრთოვანებული იყო და მხურვალედ უჭერდა მხარს გურიის გლეხთა სამართლიან ბრძოლას.

აი რას წერდა იგი ილია ნაკაშიძეს: „არა მარტო მე, მრავალი ადამიანი შეჰხარის მათ და მზად არის შესაძლო და საჭირო დახმარების აღმოსაჩენად. ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ რაკი მათ დაიწყეს ასეთი დიდი საქმე და ბევრი რამ გააკეთეს ამ საქმის განხორციელებისათვის, ისინი ხელს არ აიღებენ მასზე; ამ გზას გაყვებიან და მაგალითს უჩვენებენ სხვებს“.

1960 წლის 12 ნოემბერს ნასაკირალის შეტაკების ადგილზე გაიხსნა ობელისკი. მისი ქვემო ნაწილი შემკულია მხატვრული ბარელიეფით, რომელიც შეიარაღებულ გლეხთა საბრძოლო შემართებას ასახავს. პოსტამენტზე ასეთი წარწერაა:

„აქ, ნასაკირალთან, 1905 წლის 20—21 ოქტომბერს გურიის აჯანყებულ გლეხთა შეიარაღებულმა რაზმებმა მედგარი ბრძოლა გაუმართეს მეფის ჯარის ნაწილებს და სახელოვანი გამარჯვება მოიპოვეს“.

ნასაკირალი... ოდესღაც ბუჩქნარით დაფარული გაუვალი კუთხე, ახლა ჩაის მძლავრ საბჭოთა მეურნეობის მხარედ გადაქცეულა. ზევით, ცხვათას მთაზე, მდიდარი ექსპონატებით დამშვენებული მუზეუმია გახსნილი, ქვევით. ლაჟვარდოვან ხეობაში, გარდასულ დღეთა უტყვი მოწმე — ბახვის წყალი მიედინება.

შესცქერით ობელისკს, ათვალიერებთ წალკოტად ქცეულ აყვავებულ მხარეს და უნებურად თავს იხრით იმ გმირთა ხსოვნის წინაშე, რომლებმაც ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას შესწირეს სიცოცხლე.

შოთა ზაქარიაძე

# ზემო ქედის სადღეგრძელო

**ოთარ მამფორია**

ვუძღვნი არსენ კოპაიძეს

პური — ჩვენი არსობისა,
ღვინო — ჩვენი კაცობისა,
ლექსიც — ჩვენი გაცნობისა
იყოს ძმობის საწინდარი.
ლობე თუკი ქაცვით არი,
უთქვამთ, კაციც კაცით არი.
ზემო ქედო, ზემო ქედო,
შენ, სიუხვის მატიანევ,
ვინც ავ თვალით შემოგხედოს,
მისი ჯიში გატიალდეს.
საქართველოს სასახელოდ
გალეწილო გამრჯე კალოვ,
ბეღელო და საწნახელო,
შვილთა შენთა მარჩენალო.
ვაზით გამაბრუებელო,
არსენ, ჩვენო მასპინძელო,
ქვეყნის დამაპურებელო,
მინდა ლექსით გადღეგრძელო...
აჰა, კვირტიც გამოლურჯდა,
ბეჭდის თვალის შესადარად.
ვენახს სიოც აღარ უნდა,
არც წვიმა და ცის მანანა.
თურმე ვაზის სიბრძნე არი;
„ამ დროს მთვარეც ნუ მაკოცებს.
მწყალობელიც მომიკალი,
მერე ისევ გამიცოცხლე,
როს მირონი ჩამომწვეთავს,
კაცის გულის გასახარად...“
სწორედ მაშინ ჩაჰკლავს სეტყვა
ვაზზე ნამღერ გლეხის ნანას.
მაშინ ვადრი მე შენს დარდსა
ხელნაწერთა ულვთოდ დაწვას.
როცა ციდან სეტყვა ცვივა,
მეც ვაზივით ლექსი მტკივა.
წუთისოფლის მბრუნავ ბორბალს,
დასაფქვავად გაწვდილ ხორბალს,
მწყემსის ერთგულ ძაღლს და
კომბალს
ვუთხრათ ქება საკადრისი —
შევამატოთ ძალა მასი.
ქედის ღვინო რომ დამისხი,
თან საწვიმარს გასცქერ ღრუბელს,
გარჯის ოფლით გალუმპული.
არ ვიცოდი, ფრონტზე თურმე
ოთხი ძმა გყავს დაღუპული.
თმაში თეთრი გაგირიეს,
გტანჯავს მათი სათხოვარი,
ერთი ჭიქით დაგილიე,
ოთხი ძმის შესანდობარი.

რებელი სახლი. კალის აგროუბანში ასზე მეტი თანამშრომელია. ამ აგროუბნის სიამაყეა მწველავთა ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც კომკავშირელი თინათინ მარგველანი ხელმძღვანელობს. ბრიგადაში ათი ქალიშვილია — ყველა თავისი საქმის შესანიშნავი მცოდნე. სწორედ მათი დამსახურებაა რომ წელს კალის აგროუბანმა დავალება პირნათლად შეასრულა და უშგულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში მოწინავეთა შორის ჩადგა.

უთენია გურამი უხმაუროდ ჩავიდა ეზოში. ცხენი შეკაზმა და ის იყო ეზოდან უნდა გასულიყო, თავზე წავადექით.

გურამმა შემოგვხედა და გაიცინა.

— ვერ წაგიყვანთ. იქ მანქანა არ მიდის, ცხენები არ მყავს, ფეხით სიარული კი შეუძლებელია. სახლში მოისვენეთ. ამაღამ მთაში გავათენოთ ღამე. გამთენიის ხანს ჯიხვს გაჩვენებთ! — თქვა გურამმა და მოსახვევში გაუჩინარდა.

— გურამი ხალდეს მთაში კვირაში ორ-სამჯერ აუცილებლად უნდა ავიდეს, მწყემსები მოინახულოს, მწველავები გაამხნეოს, მერე უშგულში მეურნეობის დირექციაში შეივლის-ხოლმე, — გვეუბნება გურამის მეუღლე, თოთხმეტი შვილის დედა — თინა ჯაჯვანი...

●

სვანეთი ოდითგანვე მეცხოველეობით ირჩენდა თავს. აქ მეცხოველეობის განვითარებისათვის კარგი პირობებია — უამრავი ალპური საძოვარია. უშგულის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბება წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. ხალხმა ბარისკენ აღარ ქნა პირი — მთის ხალხი ადგილზევე დარჩა.

— გინდათ მთამ და სოფელმა იარსებოს? — გვეკითხება გურამი, — როცა მთიელი ან სოფლელი დედაქალაქში სწავლობს, დამთავრების შემდეგ ისინი მშობლიურ კერას დაუბრუნეთ — ნუ მისცემთ საშუალებას ქალაქში იცხოვროს. ასე რომ, ჩემო კარგებო, სვანეთში მეცხოველეობა უნდა განვითარდეს. წინაპრებისა და ჩემი საკუთარი გამოცდილება ამის საწინდარია. სვანეთი ნამდვილად უნდა გადაიქცეს მეცხოველეობის მხარედ; ამისათვის საჭიროა სპეციალისტები და აი, მაშინ ნახეთ რა იქნება სვანეთი! — გვეუბნება იგი, — პრაქტიკული ჭკუაა საჭირო და ყველაფერი იქნება. ცოტა შორს უნდა განჭვრიტოს ადამიანმა... მერწმუნეთ, საქართველოში მეცხოველეობის განვითარებისათვის რომ ბაზაა, ასეთი, ალბათ, არსად არ არის. ამიტომ მეტი ყურადღება და მონდომებაა საჭირო...

●

...ღამეა. ჩვენ ახლა ყორშას ღელეში ვიმყოფებით. აქ უყვარდა ნადირობა გურამის მამას. გურამმა ცეცხლი დაანთო, სახელდახელოდ გამართულ პურმარილზე მიგვიპატიჟა.

— შენს მშვენიერ ოჯახს გაუმარჯოს, გურამ! — ვთქვი მე და ღვინო დავისხი, — შენს ოთხ დას გაუმარჯოს თავიანთი ოჯახებითა და შვილებით (გურამის ოთხ დას ოცდასამი შვილი ჰყავს, გურამს თოთხმეტი. ხარძიანების ხუთმა დედმამიშვილმა ქვეყანას ოცდაჩვიდმეტი მოქალაქე შესძინა. ასე ვემრავლებინეთ ყველას!).

სადღეგრძელოებსა და საუბარში ღამე მიილია.

— საცაა ინათებს, — გვეუბნება გურამი, — მზე პირველად აი, იმ კლდის ქიმს სტყორცნის სხივს, ჯიხვსაც იქ დაინახავთ, დიდებული სანახავია!

ინათა, მზე ამოიწვერა და უცებ სალი კლდის ქიმზე ჯიხვი დავინახეთ — მას მკერდი წინ გამოეშვირა, თავი უკან გადაეგდო — იდგა გარინდებული.

— მზის ხილვით ტკბება! — თქვა გურამმა.

და როცა მზე ამოვიდა, ჯიხვი სწრაფად შეტრიალდა და ჭიუხებში გაუჩინარდა.

— ფური იყო ის ღვთის გაჩენილი! — თქვა გურამმა.

ქვევით ხევში ენგური ბობოქრობდა. შორს ხალდეს ხეობაში მწყემსები ლილეს აგუგუნებდნენ.

ალეკო მითაიშვილი

# გერონტი ქიქოძის გახსენება



ხაით წვანან ახლა ნეტავ,
გესმის მათი გულის ფეთქვა,
თითქოს ისევ დგახართ ერთად
გაჩალებულ მკაში.
ზემო ქედის ლორთქო ვაზებს,
ქალწულებზე უფრო ნაზებს,
ო, ეს დარდი მათაც აწევთ
ნისლისფერი თავშლით.
სამასი ბიჭი ქედიდან, —
ომში ჩამქრალი ციცკარი.
მერცხალი ბევრჯერ მიფრინდა,
ვერ ნახა კუბოს ფიცარი.
ღამე გადიდდა ბუნაგში,
დღე კი რა მალე დამოკლდა.
ვერ გადიგრიხეს ულვაში
და სული ისე ამოხდათ,
ამოიგმინებს ანაზდად, —
ქარი ავბედის ნიშანი.

გაუყინია ალაზანს, —
გულს დასაყრელი ქვიშანი.
ლხინში ვარ, სევდამ მიმნისლა,
არ ხარობს გული მტკივანი.
მაკრთობს ფრიალი ჩოხისა,
დედოფლის კაბის შრიალი.
ვაჟკაცთა ხსოვნას ვადარე
მზის ჩასვენება კარავში —
და შავ ღრუბლებში დავლანდე:
დედა და სატრფო სამასი.
გაჰკვესა ცხრა მთის გადაღმა,
ღამის ხომალდმაც გასცურა,
და ცისარტყელას მათრახმა
კალოზე გაიტკაცუნა.
მკაში დიაცნიც მოჯარდა,
ზეცა ეხურათ მანდილად,
სატრფო და დედა შორს მკვდართა,
თავს თვლიდნენ რძალ-დედამთილად.

მთებო, მთებო ბუმბერაზნო,
გაითენებთ, დაიღამებთ,
თუ დაზვრება ერთი ვაზი,
მეორე ხომ გაიხარებს.
წელს ჩაყრილი ჭირნახული
გაისად ხომ ამოიყრის,
შორს წასული სიყვარულიც
ერთხელ მაინც გამოივლის.
არ დაჭკნება, არა დაფნა,
აამღერებს ჰანგი ფრთოსნებს.
ზემოქედელ სამას ვაჟკაცს
მეც ლექსებით გაგიცოცხლებთ.
შირაქიდან ბლავის ფარა,
ცხელი მიწის ძახილს ერთვის.
დაგელოცოს მკლავის ძალა,
ცის ნამი და ხარის ქედი.
მოსავალმა გული მუდამ
გაგიხაროს, არსენ ჩემო,

შეჭამანდს თუ პური უნდა,
ღვინო უნდა სადღეგრძელოს,
ხვავი ისე დაგკლებოდეს,
როგორც ქვიშა ზღვას აკლია.
სიტყვის მადლიც ჰქონდეს პოეტს,
ვით ამ მიწას ბარაქიანს.
მეც ცხვარივით ჟოჩნ მივყვები
ამ ლაჟვარდულ ძალაზე,
ჰოდა, თქვენ და მომავლებით,
ისევე გნახავთ მეათასედ.
მე აქ მოვალ, მოვალ ისევ.
შემომენთო ტრფობის ცეცხლი.
მასპინძელო კობაიძევ,
ჰა, შეირგე ჩემი ლექსი!
გაგიმარჯოს, ჯანი მოგცეს,
შენ კი იცი ჩანგის ფასი.
საქართველოს დამილოცე,
დასცალე და დადგი თასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერონტი ქიქოძის ცხოვრების საფუძველს საერთო-სახალხო ინტერესები წარმოადგენდა. მას მძიმე ზნეობრივ დანაშაულად მიაჩნდა. როდესაც კაცი ხალხის მიერ დაკისრებულ ვალდებულებას ღალატობს, რათა პირადი ბედნიერების გრძნობა დაიკმაყოფილოს. პირადი ბედნიერების გრძნობამ ჩაადენინა ონისეს („ხევისბერი გოჩა") დანაშაული თემის წინაშე და აკი საკუთარი მამის რისხვაც დაიმსახურა. ამ ამბავს გერონტი ქიქოძემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია წერილში „ალექსანდრე ყაზბეგი". და ეს შემთხვევითი როდია .მისი აზრით, მწერალმა მკითხველის ყურადღება უნდა მიიპყროს არა მარტო წარმტაცი სიუჟეტით და ლამაზი თხრობით, არამედ დრამატიზმითაც, მან უნდა დაგვაფიქროს, როგორც მასში ასახული ამბით, ასევე ამ ამბის განვითარების შედეგითაც.

გერონტი ქიქოძისათვის რომ გეკითხათ, რა მიგაჩნიათ ადამიანის სერიოზულ ნაკლადო, იგი გიპასუხებდათ: პირფერობა, სიცრუე და მლიქვნელობაო.

„წმინდა მხატვრული თვალსაზრისით ალექსანდრე ყაზბეგის „ციციაში" ცოცხალი ფიგურაა აპრაკუნე. ეს მეტისმეტად გავრცელებული ტიპი ქლესა არამზადასი, რომელიც მზადაა მაიმუნის ტყავი ჩაიცვას და მისი კუდი გამოიბას, რათა ყოველგვარი პამპულობა ჩაიდინოს თავის უფროსების გასართობად, იმავე დროს კი თავის ხელქვეითებთან ქედმაღალი და თავხედია",—წერდა იგი.

გერონტი ქიქოძეს საზოგადოებისათვის ყველაზე საშიშ პიროვნებებად არა მარტო აპრაკუნეები მიაჩნდა, არამედ ის ადამიანებიც, რომელთაც თავი ისე უჭირავთ, თითქოსდა დედამიწა მათ ბეჭებზე ტრიალებს. პატივმოყვარე კაცს ქვეყნის წინაშე კეთილი საქმით ვალი არასოდეს მოუხდია, არც ფულით გატაცებულ მწერალს შეუქმნია რაიმე მნიშვნელოვანიო, — ამბობდა იგი.

გერონტი ქიქოძის წერილებში ვერ შეხვდებით ბუნდოვან, განზრახ გართულებულ, ხელოვნურ წინადადებას. მართალია ხელოვნება არ არსებობს ძიების გარეშე, მაგრამ ძიებაც არის და ძიებაც. მაგალითად, ფორმალისტური ძიება ნაწარმოების იდეურ შინაარსს სრულიად უგულვებელყოფს.

„ძიება, — ამბობდა გერონტი ქიქოძე, — მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როდესაც მას ნათელი და ყველასათვის ხელმისაწვდომი სიახლე შემოაქვს ლიტერატურასა და ხელოვნებაში".

„ენამ გულის უნდა თქვას, ფერ-უმარილი რა საჭიროა" (ილ. ჭავჭავაძე); ამ ცნებას მიჰყვებოდა გერონტი ქიქოძე, იგი გულით წერდა და დიდად აფასებდა მხოლოდ გულიდან ნათქვამ და გონებით შემოწმებულ სტრიქონებს. მაგრამ გ. ქიქოძისათვის მთავარი იყო არა სტრიქონი თავისთავად, არამედ ადამიანი, მისი ხასიათი და სწრაფვა, ხელოვნების ნაწარმოების სიდიდეს და სიდიადეს, ადამიანის მოქმედებისა და გრძნობების გამოსახვის მასშტაბი განსაზღვრავსო,—ამბობდა იგი.

წერილში „ლადო გუდიაშვილი" ვკითხულობთ: „მისი შემოქმედების ყურადღება უმთავრესად მიპყრობილია არა საქართველოს პეიზაჟისა, ყოფა-ცხოვრებისა და არქიტექტურული ძეგლებისაკენ, არამედ ადამიანისაკენ".

გერონტი ქიქოძეს ლადო გუდიაშვილის შემოქმედების მთავრ ღირსებად ადამიანის სულის საიდუმლოების ახსნა მიაჩნდა. „რაც მთავარია, — წერდა გერონტი ქიქოძე, — ეს მან ახსნა ისე როგორც დიდ მოაზროვნე მხატვარს შეეფერება".

გერონტი ქიქოძის აზრით, და ეს აზრი სავსებით სწორია, დიდი მწერლობა და დიდი მხატვრობა იქ არის, სადაც მთელი სისრულით არის გახსნილი ადამიანის შინაგანი სამყარო და ნაჩვენებია ცხოვრების ავიცა და კარგიც, ნათელი და ბნელი მხარე.

გერონტი ქიქოძე საფუძვლიანად იცნობდა როგორც თავისი სამშობლოს, ასევე სხვა ქვეყნების ლიტერატურასა და ისტორიას. ამას მოწმობს თუნდაც წერილები რუსთაველზე, რომლებშიც მრავალი რთული პრობლემა და საკითხია გაშუქებული.

შოთა რუსთაველის გმირების მოქმედებას არე სცილდება ვიწრო ეროვნულ და რელიგიურ ზღუდეებს. რუსთაველმა მთელი იმ დროის ცნობილი მსოფლიო მოხაზა—ეგვიპტიდან დაწყებული ჩინეთამდე. ამ დიდ ფონზე შექმნა მან ზოგადადამიანური ტიპები, რომლებსაც შემდგომ გვერდით ამოუდგნენ რენესანსის ეპოქის საერთო-საკაცობრიო ტიპები და სახეები.

გერონტი ქიქოძემ მთელი პასუხისმგებლობით განაცხადა: „მხატვრული სიტყვის ოსტატებს შორის საქართველოში რუსთაველის შემდეგ შეიძლება არავინ არ არის ისე პოპულარული, როგორც ილია ჭავჭავაძე". ეს განცხადება წერილში „ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე" სათანადოდ არის დასაბუთებული და განმტკიცებულია საგულისხმო პარალელებით.

ფრიად საყურადღებოა გერონტი ქიქოძის მოგონებები შალვა დადიანზე, ლეო ქიაჩელზე, მიხეილ ჯავახიშვილზე, თედო სახოკიაზე, პაოლო იაშვილზე.

გ. ქიქოძე საინტერესოდ მოგვითხრობს უახლოესი მეგობრების პირად ადამიანურ თვისებებზე. მოგონებებში ნათლად ჩანს დასახელებული მწერლების საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი სახე, ამაღლებული და კეთილშობილური ბუნება. გავიხსენოთ თედო სახოკიას რევოლუციამდელი ცხოვრების ერთი ეპიზოდი.

გერონტი ქიქოძე თედო სახოკიას პირველად ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში შეხვდა. „რა დროსაც არ უნდა შევსულიყავი მის სტუდენტურ ოთახში, თუნდ დილაადრიანად. პატარა ტაბელკალენდარზე ის დღე უკვე წაშლილი ჰქონდა. თითქოს უკვე განვლილი ყოფილიყოს. ხოლო როდესაც ერთხელ ვუთხარი, შე კაცო, დღევანდელი დღე ხომ მხოლოდ ესაა დაიწყო, შენ კი უკვე გადაგიხაზავს-მეთქი, მიპასუხა: ემიგრანტისათვის, რომელსაც სამშობლოში დაბრუნების ნატვრა სტანჯავს, ყოველი ახალგათენებული დღე უკვე განვლილიაო... იგი მზად იყო, სიცოცხლის დღეები შეემოკლებინა, ოღონდ საქართველოში დაბრუნებას ღირსებოდა. და მაშინ ჩემთვის გასაგები გახდა ძველი ათენელების სამართალი, რომლის მიხედვით სამშობლოდან გაძევება და სიკვდილი თანაბარ სასჯელად ითვლებოდა".

გერონტი ქიქოძეს აქვს წერილები, რომლის მიხედვითაც ღრმად ვეცნობით მსოფლიო კულტურის მიღწევებს. მხედველობაში მაქვს წერილები შექსპირზე, ბალზაკზე, სტენდალზე, ვოლტერზე, დოდეზე, ჰაინეზე, როდენზე და სხვ.

ლიტერატურამ და ხელოვნებამ ადამიანს გზა უნდა გაუკაფოს ჭეშმარიტებისაკენ, თავიდან უნდა აალილოს შეცდომები მოქმედებაში, ხმა უნდა აღიმაღლოს ამორალიზმის წინააღმდეგ და მკაცრი განაჩენი უნდა გამოუტანოს ბოროტებას. გერონტი ქიქოძე ამ თვალსაზრისით განიხილავს მწერლის შემოქმედებას და დიდად აფასებს იმ შემოქმედს, რომელსაც გამჭრიახი ხედვა აქვს და ერთი ფილოსოფოსის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ფართო ჰორიზონტის ყველა წერტილს ერთი თვალის მოვლებით სწვდება".

გერონტი ქიქოძე იყო არა მარტო კრიტიკოსი, არამედ ბრწყინვალე მთარგმნელიც; ერთ მწერალს უთქვამს: თარგმანი გადაბრუნებული ხალიჩააო. კითხულობთ გ. ქიქოძის თარგმანებს („წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი", სტენდალის „წითელი და შავი". „იტალიური ქრონიკები", ბალზაკის „შაგრენის ტყავი", ანატოლ ფრანსის „ღმერთებს სწყურიათ", ალფონს დოდეს „წერილები ჩემი წისქვილიდან", მერიმეს „ნოველები" და მრავალი სხვ.) და სრულიადაც არ გრძნობთ, რომ ეს თარგმანები ხალიჩის მეორე პირია.

სავსებით სწორია ის აზრი, რომ გერონტი ქიქოძემ თავისი თარგმანებით „ნათელყო თუ რაოდენ ელასტიკურობით, დახვეწილობით, სინატიფით გამოირჩევა ქართული ენა, რომელსაც შეუძლია ადამიანის ურთულესი ფსიქოლოგიური ნიუანსების გადმოცემა".

ადამიანს რაც უფრო მეტი ცოდნა აქვს, მით უფრო თავმდაბალი და მოკრძალებულია იგი. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაში გერონტი ქიქოძემ დაგვარწმუნა.

ვლადიმერ ჯიბუტი

# პირველი ნაბიჯები

## ავთანდილ ჩხაიძე

### დიდთოვლობა

სასირეს მთიდან ჩაუხტება აცანას ქარი
და ჩაულოკავს აცანურას დევების ბუდეს.
კლდეთა ტალკვესზე ააწივლებს მათრახს ზამთარი
და სოფელს დიდი სიმყუდროვის ბუხრებს აუნთებს.
ჭრელი საბნიდან გადმოჰყოფენ ფეხებს ბავშვები,
შეორთქლილ მინას მიემსხვრევა წკრიალით ხვითო.
და გასწევს ცისკენ მცირე სოფლის ორასი კვამლი,
რომ ქართულ ცაზე მიიტანოს თავისი სითბო!

### დაბადება

მე გამოვდივარ სამყაროდან — ცივ ნაჭუჭიდან,
რომ ჩემი წილი ცის პატარა სილურჯე მერგოს.
რომ მზის სხივები გაფანტული დედამიწაზე,
წიწილასავით ლამაზად და ხარბად ავკენკო!

### შავი შაშვი

ნეტავ რას იტყვის შავი შაშვი,
უჩივის რასა?!
ბახმაროს ყინულს, მთათ გურიის
და სუფსის წყალსა!
ჩხრიალა ჩანჩქერს, ქვაში ბინულს
და კლდეთა ტინებს,
ააჭახჭახებს ტყის მეზლაპრე,
აქვითინებს!
ყურით მოათრევს შლეგი ქარი
მოარულ ჭორსა:
— რომ იქ სხვა შაშვი...
წკვარმი ღამე, ყორანივით
მოიქნევს ფრთასა
ნეტავ რატომ წუხს შავი შაშვი,
უჩივის რასა?!

### ორმოციანი წლების პოეტებს

პურის ნატეხი ენატრებათ ომში წასულებს,
დედის ალერსი, და არც სატრფოს კოცნა —
ნაკლებად...
მეც მშიერი ვარ. ამიტომაც ყველაზე უფრო
მათი ვაჟური სტრიქონები მომენატრება.

### ირმის ნახტომი

ფრთხოობს ეს გული,
როგორც კენტი ხარი — ქორბუდა,
სჭირდება ცოტა მარილი და
წყაროს ყინული.
ვიცი, სჭირდება
ქარიშხალი, მზე და ბალახი
და სიყვარული ქარაფებში გადაკიდული.
ტყის სიმწვანეში
ის დაკარგავს გაკვალულ ბილიკს
და ექოს წკრიალს
ვარსკვლავიან ცისკენ გაჰყვება.
ირბენს იქამდე, ვიდრე
დიდი სიხარულისგან
ირმის ნახტომად ქართულ ცას არ
დაეხატება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანული იუმორი

□ პოლიციელმა გზაზე მანქანა გააჩერა და მძღოლს მიმართა:

— გადაიხადეთ ჯარიმა! საათში ას კილომეტრზე მეტი სიჩქარით მიდიხართ!

— ყოვლად შეუძლებელია! ერთი საათი არც იქნება, რაც გარაჟიდან გამოვედი.

□

მოსამართლემ მკაცრად შეხედა ფირმის მეპატრონის მდივან ქალს, რომელიც ფირმის გაკოტრების თაობაზე ჩვენებას აძლევდა.

— ხომ იცით, ცრუ ჩვენებისათვის რასაც მიიღებთ?

— დიახ. შეფი ორი ათას მარკას შემპირდა!

□

— უკვე შეატყობინეთ რესტორნის დირექტორს ჩემი მოსვლა? — ჰკითხა რევიზორმა ოფიციანტს.

— როგორ არა, მაგრამ იგი ნახევარ საათში დაბრუნდება.

— კი მაგრამ სად წავიდა?

— ცოლ-შვილთან გამოსამშვიდობებლად.

□

გაავთრებული ოჯახური შეტაკების დროს ცოლმა ქმარს მიახალა:

— ჯობდა, თვით ეშმაკს გავყოლოდი ცოლად!

— ეგ შეუძლებელია! — მიუგო ქმარმა მშვიდად, — ახლო ნათესავთა შორის ქორწინება კანონით აკრძალულია!

□

— ნუ ჯავრობთ, ქალბატონო, გახსოვდეთ, რომ დრო — საუკეთესო მკურნალია!

— სამაგიეროდ, ძალიან ცუდი კოსმეტოლოგია!

თარგმნა შ. ამირანაშვილმა.

# თვალსაჩინოების ძალა

## იუმორისტული მოთხრობა

ის იყო ორესტი კაბინეტში შევიდა, დაჯდა და დღის სამოქმედო პროგრამის ჩამოწერას შეუდგა, რომ კარი დაუკითხავად გაიღო და ოთახში დემიკო შევიდა.

— აქა მშვიდობა! — დაიძახა სახეგაბადრულმა დემიკომ და ხელებგაშლილი ორესტისაკენ გაექანა.

— დემიკოს გაუმარჯოს! — მიეგება ძველ მეგობარს დირექტორი, — კარგია, რომ გამოიარე, სხვა, რა არის ახალი?

დემიკოს გამოვლა არც თუ ისე უჩვეულო იყო ორესტისათვის, ასე რომ გახარებოდა, მაგრამ დღევანდელ ვიზიტს სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა — ორი დღის წინ მათ ერთად იქეიფეს საკმაოდ პატივსაცემი პირის ოჯახში, სადაც ორესტი თამადა იყო და ასეთ შემთხვევაში დემიკოს აზრს, თუ როგორ გაუძღვა სუფრას ორესტი და რა გამოხმაურება მოჰყვა ამას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

როცა ამ მთისა და იმ მთისა მოიკითხეს, ორესტმა სხვათა შორის ჰკითხა:

— რას იტყვი, იმ დღეს ზედმეტი ხომ არაფერი წამომცდენია?!

— აჰ, როგორ გეკადრება, გემის კაპიტანივით ბრწყინავალედ მიგყავდა სუფრა!

— რა ვიცი, არაფერი ეწყინოთმეთქი...

— არა, ბატონო, საწყენი რა იყო, რაც მთავარია, მასპინძელი დარჩა შენით მოხიბლული, ოქროპირი ყოფილაო.

— ოჰ, რომ იცოდე, რა გამახარე, მე კი დარდით აღარ ვიყავი.

მეგობრები ტკბილად ჭუკჭუკებდნენ, ამ დროს მოსაცდელში მთხოვნელები გროვდებოდნენ.

— შეიძლება? — იკითხა ერთმა ხანში შესულმა კაცმა და მდივანს კაბინეტის კარზე მიუთითა.

— თათბირი აქვს! — მიახალა მდივანმა და ჩანთიდან სარკე ამოიღო.

დიდხანს ისაუბრეს მეგობრებმა. თერთმეტი საათი იქნებოდა, დემიკო რომ წავიდა. ორესტმა ერთ ხანს იწრიალა კაბინეტში, აღერღილი იყო დემიკოს ინფორმაციით, გულს ველარ უდებდა სამუშაოს, ნახევრად ჩამოწერილი პროგრამა გვერდზე მიდო და ღილაკს თითი დააჭირა.

— მელოდება ვინმე?

— ბევრი ხალხია. დავიწყო შემოშვება?!

„რალა ამ ორშაბათ დღეს აუტყდა ყველას მოსვლა“, — გაიფიქრა ორესტმა და მდივანს მიაძახა:

— არა, არა, ვერ მივიღებ! სამმართველოში გამომიძახეს, როდის დავბრუნდები არ ვიცი, ნუ დამელოდებიან!

ორესტი უკანა კარიდან გავიდა და მანქანაში ჩაჯდა. „ნამდვილად არა ვარ ახლა ოფიციალური მიღების ხასიათზე, ლადიკოსთან წავალ, გულს გადავაყოლებ“.

ორესტის ბავშვობის მეგობარს, ლადიკოს მოსაცდელში ხალხი ელოდებოდა და ორესტს ეუხერხულა ჯიქურ შესვლა.

— ვინ ყავს? — ჰკითხა ორესტმა მეზობელს, როცა დასაჯდომი მონახა.

— არ ვიცი, მგონი, ზევიდან უნდა იყოს...

მოსაცდელში ბუზის გაფრენას გაიგონებდით. უცებ კარებთან მჯდომ ორესტის ნაცნობი ხმა მოესმა:

— ჰმ, არა, ბატონო, საწყენი რა იყო, ბრწყინვალედ მიგყავდათ სუფრა, გემის კაპიტანს შეშურდებოდა...

— რა ვიცი, არაფერი ეწყინოსმეთქი, ხომ იცი, მაგ დროს რა სიფრთხილეა საჭირო, — მოისმა ლადიკოს ნაამები და დამორცხვებული ღუღუნი.

ორესტს ტანში გაბურძგლა და ყელში რაღაც მოაწვა. „როგორ მომასწრო ამ ოჯახქორმა“, — გაჯავრდა და თანგრძნობით გადახედა მთხოვნელებს, — იცოდა ეს „ზევიდან“ მოვლენილი პირი ორ საათს არ გაეტეოდა აქედან.

რაკი დრო ჰქონდა, გადაწყვიტა მმართველთან შეევლო და პრემიის საკითხზე მოლაპარაკებოდა.

მმართველის კაბინეტის კარი ყრუდ იყო დაგმანული, მოსაცდელში იმდენი ხალხი ირეოდა, კლუბი გეგონებოდათ. ზოგი მუმიასავით იჯდა, ზოგი ბოლთას სცემდა.

მმართველთან „შევლაზე“, ან კაბინეტის კარის შეღებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, ამიტომ ორესტმა მდივანს მიმართა:

— დაკავებულია ძალიან?

— თათბირი აქვს. მოსვლა არ აცადეს, რამდენიმე კაცი ფეხდაფეხ მოჰყვა და ჯერაც არ გამოსულან, დაწყდა ხალხი ლოდინით! — მდივანი შეწუხებული ჩანდა.

მმართველის კარებთან მჯდომი ერთ-ერთი მუმიათაგანი უცებ წამოხტა, ჯერ გიჟივით აბორიალდა, შემდეგ ცოტა დაწყნარდა და ბოლთისმცემელთ შეუერთდა. ორესტმა მომენტით ისარგებლა და სუსტნერვებიანის ადგილი დაიკავა.

ორმაგი კარის მიღმა ყრუდ, მაგრამ მაინც ისმოდა გაცხარებული კამათი.

„თუ ცუდ ხასიათზეა, არც ღირს

## შეხვედრა

გურია, მთები მაღალი, მწვერვალთან სადღაც აცანა,
აქ ერთხელ შევხვდი წინაპარს და მაჭახელა დასცალა.
მთა მეორე მთას შეასკდა და ექოდ შექმნა ჯახანი,
ტყესთან აშხივლდა ფრინველი და მისი ფრენა მახარებს.
აქ — სახლი ჩემი პატარა, სიზმარში დავიარები,
ახლა კი სტუმრად მოვსულვარ და ცრემლით მეწვის თვალები.
ნაცნობი წყარო დამშრალა, ფოთლებში გადამალულა,
ნამდვილად ბავშვობასავით მიწისკენ გადაპარულა!
იმის კამკამა ცის ფსკერზე მახსოვს სიცილით დახრჩობა,
ქვა-ღორღს ავართმევ, წკანწკარით იდინე ჩემო ბავშვობავ!
იდინე ჩემო ბავშვობავ, გადაფარული ხავსებით,
ჩამოიცლება დრო-ჟამი და მაინც წყაროდ დავრჩებით!
გურია, მთები მაღალი, მწვერვალთან სადღაც აცანა,
აქ ერთხელ შევხვდი წინაპარს და მაჭახელა დასცალა.

## კერა

კვამლით გამთბარი კედლები, ჩემი პატარა კერია,
ესაა თურმე რაც მითქვამს, რაც ჯერაც არ მიმღერია!
წვიმის ხმა, სუფრა ნიგვზისა, ლოცვად ნათქვამი ლექსები,
ესაა თურმე რაც გიხმობს და ვერსად ვერ გაექცევი.
„ლადარში კვერი ობოლი, ობოლი ბიჭის საჭმელი“...
ესაა რომ აგაცრემლებს, ესაა დიდი სათქმელი.
აქ სადღაც ახლოს ტრიალებს ყველა ლამაზი ფერია,
კვამლით გამთბარი კედლები, ჩემი პატარა კერია!

მანანა მექვაბიშვილი

●

მიდიხარ მაღლა...
შენ უბრალოდ არაფერს ჩემობ
და ისევ ისე
გასაოცარ ძალით შენდები.
რა სითბო დაჰყვა
ამ ორ სიტყვას — „მამულო ჩემო“,
ამ ორი სიტყვით
როგორ ვხარობთ,
როგორ ვმშვენდებით.

●

ამ უზარმაზარ
კლდეებზე გავლით
თვალები ზეცის
სიმაღლეს სვამენ...
ამ უზარმაზარ
კლდეებზე გავლით
შეჯერებული აქეთ გული სვანებს.
დაუოკებელ
განცდებით მთვრალი,
როცა მოვექეც
ამ მთებზე მაღლა,
ვთქვი:
    აქ დაკარგა მუხლებმა ძალა
და მე წავაწყდი ერთბაშად ახლა.

●

გინდ იყოს წვიმა,
საშინელი დელგმა თუ ქარი —
რუხი ფარაჯა
ჯარისკაცის მეგზური არის.
როცა ომია,
ბრძოლა, ცეცხლი გასაკვირველი,
მტრის ნასროლ ტყვიას
იგი ხვდება მუდამ პირველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი ნაბიჯები

შესვლა“, — გაიფიქრა გამოცდილმა ხელქვეითმა და სმენა დაძაბა.

— არა ბატონო, ახლა ჩვენ იმას ველარ მოვითმენთ, რომ მთელი დატვირთვით და პასუხისმგებლობით არ მოეკიდონ საქმეს, აქ უკვე რესპუბლიკის პრესტიჟის საკითხია!

— მართალია! როდემდე უნდა იჩანჩალონ ასე?!

— კი მაგრამ ეგენი რომ გაუშვა, რას აპირებ მერე, ვინ მოგყავს, ტროფიმიჩ?!

„ვაიმე! ნეტავი ვის უშვებენ? ჩემზე ხომ არაა ლაპარაკი, იმ დღეს ცოტა ცერად გადმომხედა. რა სულელი ვარ, მე კი პრემიაზე ვფიქრობ?!“ — ელდა ეცა ორესტს.

— მოყვანით კი მოვიყვან, უკეთესების მეტი რაა, მაგრამ...

— მე კი მგონია, უნდა ვაცადოთ ჯერ, ტროფიმიჩ, მიეცი ვადა, ეგებ ამოქაჩონ!...

— მაგაში არ არის საქმე, მეტ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ ხალხის წინაშე... ფეხი თუ არ გაანძრიე, ოფლი თუ არ მოიდინე და მარტო დროსტარებას თუ გადაყევი, არაფერი გამოვა!

— აბა, აბა, სულ არ იციან დროის ფასი, მაგ ოჯახქორებმა!

„ნეტავი რომელი ორგანიზაციის საკითხს იხილავენ? ცუდადაა ვილაცის საქმე“, — გაიფიქრა ორესტმა და მღელვარებისაგან ის იყო უნდა წამომხტარიყო და ბოლთისმცემლებს შეერთებოდა, რომ ამ დროს თვალი მოჰკრა დემიკოს. იგი თავაღებული, იმ ადამიანის სითამამით, ყველგან რომ სასურველ სტუმრად მიაჩნიათ, პირდაპირ მმართველის კაბინეტისაკენ მიეშურებოდა. ორესტმა გაზეთი აიფარა.

— თავისთანაა? — მომხიბლავი ღიმილით გადაუგდო სიტყვა მდივანს და პასუხს არც დალოდებია, კარები ჯიქურ შეაღო.

— აქა მშვიდობა!—დაიძახა მან რიხიანად.

კარს უკან საზეიმო შეძახილები გაისმა:

— ოო, ვინც მოვიდა, გაუმარჯოს, სად დაიკარგე, შე კაცო?!

— ველარ ვიცლი, ბატონო. დილიდან საღამომდე კაცი რომ სამსახურში დაიხრჩობა, ხომ იცი...

— ასე არა ვართ ჩვენც?! — დაიჩივლეს ერთხმად შეკრებილთ.

„აქ რაღა უნდა ამ მაწანწალას„ ნუთუ დაბარებულია?“ — გაიფიქრა ორესტმა და ღრიჭოდ დარჩენილ კარს მიაყურადა. წამით დამყარებულ სიჩუმეში მმართველის ავტორიტეტული ხმა გაისმა:

— ჩვენ აქ კარგა ხანია ვდაობთ და ზოგ რამეში ვერ ვთანხმდებით, იქნებ შენ მოგვარიგო...

„ბიჭოს! ჭკუის საკითხავი კაცი ყოფილა დემიკო“, — გაუელვა ორესტს და მთლად დაიძაბა; ამ დროს მოსაცდელში ვილაცამ ჩაახველა.

— ჩუმად! — ანგარიშმიუცემლად მიაყვირა ორესტმა „გადამწყვეტი წუთია, ახლა უნდა გაირკვეს, ვინ უბედურდება და ეს კი... უზრდელი!“

ხველა რომ მიწყნარდა, ორესტს დემიკოს ხმა მოესმა:

— ახლა არ გადამრიოთ და უხეირო მსაჯებივით არ ამიშალოთ ნერვები. გუნდმა ყოველი მატჩი მოიგოს, პირველად მესმის. აცალეთ მაგ ხალხს თამაში, ამხანაგებო!.. ასე ვლანძღავდით და ხომ ხედავთ, რა ქნა „დინამომ“?!

ორესტს თითქოს თავში რაღაცა ჩაჰკრესო, კარგა ხანს იჯდა და მოსაცდელში მობუზბუზე ხალხს გაოგნებული შესცქეროდა.

მალე კარს იქით აღგზნებული ხმები მიწყნარდა და დაღონებულმა მდივანმა მთხოვნელებს აუწყა, რომ მმართველი სასწრაფოდ გამოიძახეს სამინისტროშიო.

ახლა კი გველნაკბენივით წამოვარდა ორესტი. მოვლენები იმდენად ნაცნობი ლოგიკით ვითარდებოდა, რომ რიღასთვის ელოდა. გარეთ გამოვარდა, მანქანა მოძებნა.

„ნეტავი მივუსწრო, არა, ნამდვილად მივუსწრებ, ხალხი მომთმენია“. — რაღაც უჩვეულო სითბოთი გაიფიქრა ორესტმა და სამსახურისკენ გაქანდა.

ირაკლი ყიფიანი



## ინგლისური იუმორი

□

ცნობილ იტალიელ მომღერალს ენრიკო კარუზოს ერთმა მომღერალმა ჰკითხა:

— შეამჩნიეთ გუშინ როგორ გაავსო ჩემმა ხმამ მთელი დარბაზი?!

— დიახ, — უპასუხა კარუზომ, — ისიც შევამჩნიე, როგორ დატოვა ხალხმა ოპერა, რათა თქვენი ხმისათვის დაეთმო დარბაზი.

□

— წარმომიდგენია, რა საშინელებაა ოპერის მომღერლისათვის, როცა იგი იგრძნობს, რომ ხმა დაჰკარგა და სიმღერა აღარ შეუძლია.

— დიახ. მაგრამ კიდევ უფრო საშინელებაა, როცა იგი ამას ვერ გრძნობს.

□

ახალგაზრდა კაცმა მთელი კვირადღე ტელევიზორთან, ფეხბურთის მატჩების ყურებაში გაატარა. ბოლოს ჩაეძინა და დილამდე ეძინა.

დილით ცოლმა, ქმარს სამსახურში რომ არ დაგვიანებოდა, გაღვიძება დაუწყო:

— ადექი, ძვირფასო რვას ოცი აკლია!

— ვის სასარგებლოდ?! — შესძახა ქმარმა და ფეხზე წამოიჭრა.

□

— ტონი, გამოდი რუკასთან და ამერიკა მაჩვენე! — მიმართა მასწავლებელმა ტონის.

ტონი გავიდა და ამერიკა აჩვენა.

— აბა, ბავშვებო, მითხარით, ვინ აღმოაჩინა ამერიკა? — მიმართა მასწავლებელმა.

— ტონიმ, მასწავლებელო! — ერთხმად მიუგეს მოსწავლეებმა.



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპ. ბიბლიოთეკა

## საზღვარგარეთის კინოს ამბები

# ოთხი «ოსკარი»

თანამედროვე ამერიკული კინოხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა ვუდი ალენი.

როგორც შემოქმედს, მას ბევრი რამ აახლოვებს ჩარლი ჩაპლინთან. იგი ისეთივე მრავალმხრივი ხელოვანია, როგორც მისი დიდი წინამორბედი. ალენი მწერალიცაა, რეჟისორიც, მსახიობიც და მუსიკოსიც. ალენი-კომიკოსი თანამედროვე ამერიკის ყველაზე პოპულარული და საყვარელი მსახიობია.

ალენმა გადაიღო თერთმეტი ფილმი, დაწერა ორი პიესა, ავტორია ორი ლიტერატურული კრებულისა. დიდი პოპულარობით სარგებლობს მისი გამოსვლების გრამჩანაწერთა ალბომი. ხოლო ალენის ბოლო ფილმმა „ენი ჰოლმმა" ნამდვილი სენსაცია მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების კულტურულ ცხოვრებაში: ამ სურათმა ერთდროულად ოთხი „ოსკარი" დაიმსახურა — საუკეთესო რეჟისურისათვის, საუკეთესო სცენარისათვის, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის (ენი ჰოლის როლს ანსახიერებს დიანა კიტონი) და როგორც წლის საუკეთესო სურათმა.

გარდა ამისა, ფილმმა მოიპოვა ამერიკის კინოკრიტიკოსთა ეროვნული საზოგადოებისა და ნიუ-იორკის კინოკრიტიკოსთა ასოციაციის პრიზები, როგორც 1977 წლის საუკეთესო ფილმმა.

ამერიკელი კინოკრიტიკოსების აზრით, მთავარი, რაც ალენსა და ჩაპლინს აახლოებს, ის არის, რომ ორივემ თავიანთი შემოქმედების მთავარ თემად გაიხადეს „პატარა ადამიანის" პრობლემა, მისი მისწრაფებები, მისი ყოველდღიური ბრძოლა ადამიანური არსებობის უფლების მოპოვებისათვის, და ალენის პრემირებული ფილმიც სწორედ ამაზე მოგვითხრობს.

ფილმის გმირი ელვი სინგერი, რომლის როლსაც თვით ალენი ასრულებს, თანამედროვე „პატარა ადამიანია"; მას, რა თქმა უნდა, ახალ გარემოში, ისევე უჭირს ცხოვრებასთან ჭიდილი, როგორც ჩარლი ჩაპლინის გმირებს.

# ნარევი

ფეხბურთის ცნობილ მეკარეთაგან ლ. იაშინი 184 სანტიმეტრი სიმაღლის იყო, თბილისელი რ. ურუშაძე—186 სანტიმეტრის, ყველაზე მაღალი იყო მოსკოვის „ლოკომოტივის" მეკარე ა. სერედა. მისი სიმაღლე 192 სანტიმეტრს აღწევდა.

△

მატჩებზე მაყურებელთა დასწრების მსოფლიო რეკორდი ბრაზილიას ეკუთვნის.

რიო-დე-ჟანეიროში „მარაკანას" ცნობილ სტადიონზე 1950 წელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის გამართულ მატჩს 212.500 მაყურებელი დაესწრო. გადამწყვეტ ასპარეზობაში ერთმანეთს ხვდებოდნენ ბრაზილიის და ურუგვაის ნაკრები გუნდები.

△

1936 წელს საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდნენ: ა. დოროხოვი, ნ. სოლოლინი, შ. შავგულიძე, ე. ნიკოლაიშვილი, რ. ახიკინი, მ. მინაევი, ვ. ჯორბენაძე, გ. გაგუა, ი. პანინი, თ. გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, მ. ასლამაზოვი, ნ. სომოვი, ვ. ბერძენიშვილი.

თბილისის „დინამოს" გუნდის მწვრთნელი იყო ჟ. ლიმბეკი.

△

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საფეხბურთო კლუბ „ჰამბურგში" სპეციალისტებმა საგანგებო ხელსაწყოთი გაზომეს თავდამსხმელის მიერ კარში ძლიერად დარტყმული ბურთის სიჩქარე.

65—87 კილომეტრი საათში! — აი, რას უდრის თურმე ძლიერად დარტყმული ბურთის სიჩქარე.

△

სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება 1934 წელს ჩვენს ქვეყანაში პირველად მიიღეს მ. ბუტუსოვმა, პ. ბატირევმა, ნ. ციკოლოვმა, პ. ისაკოვმა, ნ. სტაროსტინმა და ფ. სელინმა.

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებიდან ეს უმაღლესი სპორტული ტიტული მიენიჭათ შ. შავგულიძეს (1941 წ.), ა. გალპერინს (1943 წ.), ბ. პაიჭაძეს (1944 წ.).

△

მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მატჩი ჩატარდა 1955 წელს ინგლისის თასის გათამაშებისას.

„სტოკ-სიტისა" და „ბერის" გუნდები ფეხბურთს თამაშობდნენ... 9 საათზე მეტ ხანს.

საყაიმო ანგარიშის გამო, ეს გუნდები ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს.

## კურიოზები

ინგლისის „ლივერპულ-იუნაიტედის" ფეხბურთელთა გუნდმა ორჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი.

ამით გახარებულმა ფეხბურთის ერთ-ერთმა დიდმა გულშემატკივარმა თავის ვაჟიშვილს საყვარელი ფეხბურთელების სახელი დაარქვა.

როცა შვილის დაძახება უნდა, იგი იძულებულია ასე მიმართოს მას: — თომას ჯეიმს ემლინ დევიდ რაიმონდ ტერენს ფილიპ კენეტ სტეფან ალენ ფილიპ გრეიმერ რაიმონდ რობერტ.

კიდევ უფრო კურიოზული გამოდგა ფეხბურთის ერთ-ერთი დასავლეთგერმანელი გულშემატკივარის ისტორია.

მსოფლიოს უკანასკნელი საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ამ გულშემატკივარმა გადაწყვიტა, თავისი ქალიშვილისთვის „არგენტინო" დაერქვა.

სურვილი აუსრულებელი დარჩა. იმის გამო, რომ არგენტინის ჩემპიონატზე დასავლეთ გერმანიის ფეხბურთელებმა მსოფლიო ჩემპიონობა დაკარგეს, მამას უარი უთხრეს ქალიშვილის დაბადების მოწმობა „არგენტინოს" სახელზე გაეფორმებინათ.

## შვილობილები

მართლაც რომ კურიოზული გადაწყვეტილება მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრუკფილდის ზოოპარკის ადმინისტრაციამ: ფინანსური კრახის მიჯნაზე მდგომ ზოოლოგიურ პარკში ყველა კერძო მსურველს შეუძლია შევიდეს და... იშვილოს ცხოველები.

გადაიხდით რამდენიმე ათას დოლარს, მიიღებთ ოფიციალურ მოწმობას და, ვთქვათ, ზღვის ლომი უკვე თქვენი ოჯახის წევრად შეგიძლიათ ჩათვალოთ.

გარდა ამისა, მშობლის გვარი და სახელი საგანგებო ფირფიტაზე იწერება და ზოოპარკის ერთ-ერთ კედელზე იკვრება.

## [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფეხბურთის ისტორიაში პირველი საერთაშორისო მატჩი გაიმართა 1872 წელს ინგლისის ქალაქ გლაზგოში.

ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და შოტლანდიის გუნდები. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

● სსრ კავშირის პირველი საფეხბურთო ჩემპიონატი გაიმართა 1935 წელს. იგი წრიული სისტემით ტარდებოდა ქალაქის ნაკრებ გუნდებს შორის. პირველ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობდა 51 გუნდი.

● საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ მატჩში 4 გოლი პირველად გაიტანა სპარტაკელმა თავდამსხმელმა კ. სემიონოვმა, შემდეგ არმიელმა გ. ფედოტოვმა.

● ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეთაგან ყველაზე ხნიერი იყო ინგლისის გუნდის „ნიუ-ბრაიტონის" მეკარე ნ. მაკბეინი.

მან 52 წლისამ დაამთავრა საფეხბურთო კარიერა.

● ფეხბურთის პირველი რადიორეპორტაჟი მოეწყო ჩეხოსლოვაკიაში 1926 წელს. იგი მიჰყავდა ცნობილ კომენტატორს იოჟეფ ლაუფერს.

ერთმანეთს ხვდებოდნენ ბუდაპეშტისა და პრაღის გუნდები.

● 1954 წელს მოსკოვის ახალ სტადიონზე ლუჟნიკში, საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ჩატარდა პირველი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე.

● საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება პირველად შედგა 1960 წელს.

ერთმანეთს შეხვდნენ ესპანეთის გუნდი „რეალი" და ურუგვაის გუნდი „პენიაროლი".

● ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთის სკოლები შეიქმნა 1954 წელს. სკოლების გუნდების პირველ ასპარეზობაში გამარჯვება მოიპოვა საქართველოს გუნდმა.

● ფეხბურთის ბადე ხმარებაში შევიდა 1891 წელს.

● კომპოზიტორ გ. ბლანტერის ყველასთვის კარგად ცნობილი ფეხბურთის მარში საკავშირო რადიოთი პირველად გადაიცა 1946 წელს

# ჟან-ჟაკ რუსოს საჭადრაკო მინიატურები

დიდი ფრანგი განმანათლებელი, ფილოსოფოსი, მწერალი და პედაგოგი ჟან ჟაკ რუსო (1712—1778 წ.წ.) ჭადრაკის თავდავიწყებული ტრფიალი გახლდათ. იგი თავს „ჭადრაკის მონას" უწოდებდა. როცა პარიზში ცხოვრობდა, რუსო თითქმის ყოველდღიურად დადიოდა სახელგანთქმულ საჭადრაკო კაფე „რეჟანსში", სადაც ჭადრაკის დაფასთან ხვდებოდა გამოჩენილ ფრანგ მოჭადრაკეებს ანდრე დანიკან ფილიდორს, კერმიურ სირ დე ლეგალს და სხვებს.

ავტობიოგრაფიულ ეპოპეაში „აღსარება" რუსო იუმორისტულად გვიხატავს თავის გატაცებას ჭადრაკით. თამაში რომ ვისწავლე, ორი თუ სამი თვით ჩავიკეტე ოთახში და ჭადრაკში მეცადინეობის მეტს არაფერს ვაკეთებდი. თითქმის ზეპირად ვსწავლობიდი ფილიდორისა და სხვა ავტორების ხახელმძღვანელოებსო.

ჟან ჟაკ რუსო თავმდაბლურად შენიშნავს, მიუხედავად ასეთი ვარჯიშისა, არასოდეს არ ავცილებივარ ახალბედას თამაშის დონესო. ცხადია, რუსო არ იყო პირველხარისხოვანი მოჭადრაკე, მაგრამ იგი ზედმეტად მკაცრია საკუთარი თავისადმი. ისტორიას შემორჩა დიდი მწერლის ერთი პარტია, რომელიც თვალნათლივ მეტყველებს რუსოს თვითმყობად საჭადრაკო ნიჭსა და ძალაზე. ეს ულამაზესი მინიატურა (ჭადრაკში მინიატურას უწოდებენ პარტიას, რომელშიც სვლების რიცხვი 25-ს არ აღემატება) დღესაც მოხიბლავს ჭადრაკის ყველაზე მკაცრ „გურმანსაც" კი. პარტია ნათამაშევია 1759 წელს მონმორასში პრინც კონტის წინააღმდეგ.

პრინცი დე კონტი ღრმა სიმპათიით ეპყრობოდა ჟან ჟაკ რუსოს. მან ორჯერ გაუკეთა ვიზიტი მწერალს მონმორასში; ერთ-ერთი სტუმრობის დროს მათ ორი საჭადრაკო პარტია ითამაშეს. პრინცის მხლებელნი ათასნაირი ჟესტებითა და მიმიკით ანიშნებდნენ რუსოს წააგეო, მაგრამ იგი შეუდრეკელი აღმოჩნდა — ორივე პარტია მისი გამარჯვებით დამთავრდა.

— მონსინიორ, მე უაღრესად დიდი აზრისა ვარ თქვენს უმაღლესობაზე. ამიტომ არ მეშინია მოგიგოთ ჭადრაკში! — მიმართა თამაშის შემდეგ რუსომ პრინცს.

„ეს დიდებული პირნცი იმდენად ჭკვიანი და განათლებული გახლდათ, რომ ღირსი იყო მასთან არ ემლიქვნელათ. ვფიქრობ, იგი მიხვდა, რომ ერთადერთი მე ვიყავი, ვინც მას ისე ეპყრობოდა, როგორც ადამიანს. დარწმუნებული ვარ, პრინცი ამისთვის გულწრფელად მადლობელი იყო ჩემი", — წერს რუსო „აღსარებაში".

ახლა კი ვნახოთ პარტია.

რუსო — პრინცი კონტი

1. e2—e4 e7—e5 2. მg1—f3 მb8—c6 3. კf1—c4 კf8—c5 4. c2—c3 ლd8—e7 5. d2—d4 კc5—b6 6. 0—0 d7—d6 7. კc1—g5 f7—f6 8. კg5—h4 g7—g5? 9. მf3:g5! f6:g5 10. ლd1—h5+ მფe8—f8 11. კh4:g5 ლe7—g7 12. f2—f4! e5:d4 13. f4—f5! d4:c3+ 14. მფg1—h1 c3:b2 15. კc4:g8 b2:a1ლ 16. f5—f6!!

თუმცა შავებს უდიდესი მატერიალური უპირატესობა აქვთ, მათი პოზიციის დაცვა შეუძლებელია. თუ 16.... მფ:g8, მაშინ 17. fg კe6 18. კf6! და თეთრები იგებენ; ამიტომ შავები დანებდნენ.

მართალია, პარტია დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან, მაგრამ შეწირვების ფეიერვერკი ჭეშმარიტად მომხიბვლელია.

გივი ძინძიბაძე

# სიახლენი სიახლენი სიახლენი

## პლასტმასის წყალქვეშა ნავი

მეცნიერთა მრავალი წლის შრომა, რათა შეექმნათ ხელოვნური მასალა, რომელიც მაღალ წნევას გაუძლებდა და გამოსადეგი იქნებოდა წყალქვეშა ნავების დასამზადებლად, ამას წინათ წარმატებით დაგვირგვინდა.

ინგლისურმა ფირმამ „ვიკერზმა" სერიულად დაიწყო წყალქვეშა ნავების გამოშვება, რომლებიც პლასტმასისგან მზადდება.

ახალი წყალქვეშა ნავის კორპუსი საკმაოდ მსუბუქია, მყარია და გამძლე.

## კომბაინი-ვენტილატორი

შოტლანდიაში ამას წინათ დაამზადეს ეგრეთ წოდებული კომბაინი-ვენტილიატორი, რომელიც ჩაის ფოთლის საკრეფად არის გამიზნული.

მისი მოქმედების პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: ჩაის ბუჩქებს აფრქვევენ ჰაერის ტალღას. ამ ტალღის მეოხებით სუსტი და განუვითარებელი ფოთოლი ძირს იხრება, სასურველად შემოსულ ფოთლებს კი, რომლებიც ბუჩქზე უძრავად დგანან, სწრაფად კრეფს მანქანა.

კომბაინ-ვენტილატორის რამდენიმე ნიმუში უკვე დაამზადეს.

## შეცდომა რომ ავიცილოთ

პოლონელმა სპეციალისტებმა შექმნეს სამედიცინო ელექტრონული აპარატი, რომელიც საშუალებას იძლევა დავადგინოთ ავადმყოფის ორგანიზმის რეაქცია ამა თუ იმ წამალზე.

აპარატი აღნუსხავს სუნთქვას, სისხლის მიმოქცევას, გულისცემას, ტემპერატურას...

ექიმისათვის ნათელი ხდება პაციენტისთვის რომელი წამალი უფრო ეფექტურია, რა დოზირებითაა საჭირო მისი მიცემა, როდის უნდა შეწყდეს დანიშნული პრეპარატის გამოყენება.

სამედიცინო ელექტრონული აპარატით მოწმდება აგრეთვე ახალი პრეპარატების სამკურნალო ეფექტიანობა.

## ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ

ბეტონის შესამზადებლად აუცილებელია წყალი. რაც უფრო სუფთაა წყალი, მით უფრო სასურველ შედეგს ვიღებთ. სუფთა წყალთან კონტაქტის დროს ცემენტი წარმოქმნის ცომს, რომელიც სწრაფად კრისტალდება, საიმედოდ ურევს და ამაგრებს ქვიშას.

ამას წინათ ბელგიელმა ქიმიკოსებმა შეიმუშავეს ახალი მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა მაღალხარისხოვანი ბეტონი მივიღოთ... ზღვის მარილიანი წყლის გამოყენებით(!)

ბეტონის მიღების ამ ახალ ტექნოლოგიას ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ.

ახალი ბეტონი, ჩვეულებრივი ბეტონისგან განსხვავებით, სწრაფად და საიმედოდ მაგრდება მაღალი ტემპერატურის დროსაც.


— ბიჭუნა, სად იყიდე „კოლხეთი"?


— აფრენ?

გურამ დოლიძისა და იოსებ მელაშვილის ნახატი

# კაკალ გულში

მურთაზ აბაშიძის ნახატი



— ცოლს აქ ტოვებ და სიდედრი მიგყავს ზღვაზე?

— ცოლმა ცურაობა იცის, სიდედრმა კი არა!


— ქალო, ოცი წელი იძახი, უგულო ხარო, გულით კი ვკვდები!

# თითქმის დაუჯერებელი



☐ ესპანეთში ამას წინათ გააუქმეს კანონი, რომლის მიხედვით ცოლისთვის ან ქმრისთვის ღალატი სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა.

კანონის გაუქმებამდე, მოღალატე მეორე ნახევარი შეეძლოთ გაესამართლებინათ და ციხეში ჩაესვათ 6 წლით.



☐ ინგლისში კიდევ ერთი ოჯახი დაინგრა.

ცოლ-ქმარი ჯარჯები მხოლოდ იმიტომ გასცილდნენ ერთმანეთს, რომ ოჯახის მამა აჩემებულ მელოდიას ყოველ საღამოს გაუთავებლად და მონოტონურად უსტვენდა.

☐ ეს იყო უპრეცედენტო ქურდობა.

ახალი ზელანდიის ქალაქ კრაისტჩერჩში მცხოვრებ ვინმე დ. ხარვურდს ქურდებმა მოპარეს ტანსაცმელი, ხალიჩები, ავეჯი, აბაზანა, წყალგაყვანილობის მილები და... სახლის სახურავი.

☐ სიდნეიში ამას წინათ ადგილობრივ გუნდებს შორის გაიმართა მრავალსაათიანი საფეხბურთო მატჩი.

ეს უჩვეულო მატჩი დამთავრდა ანგარიშით 204:194.



☐ ინგლისელმა მერი ვიქტორია ბრიუსმა 37 წლის შესვენების შემდეგ კვლავ დაიწყო სპორტული თვითმფრინავით ვარჯიში.

სპორტის ამ სახეობის უზომოდ მოყვარული ქალბატონი მერი ვიქტორია ბრიუსი ამჟამად... 82 წლისა გახლავთ.

☐ ინგლისში ამ რამდენიმე ხნის წინათ თავში აგურისა და ბოთლების ჩარტყმით მოკლეს 84 წლის ქალი კ. უილიტსი.

მკვლელები აღმოჩნდნენ... 4 და 6 წლის ბიჭუნები.



☐ იმის გამო. რომ საპატიმროები გადატვირთულია, ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ წამოაყენა წინადადება... დამნაშავეებს შეუმცირონ პატიმრობის ვადები.

☐ ქსოვა მოიგონეს... მამაკაცებმა.

XIII საუკუნეში იტალიაში გამოჩნდნენ მქსოველები, რომლებიც მხოლოდ მამაკაცები იყვნენ .



☐ იტალიური ფირმა „სანგროკომიკი", რომლის პრეზიდენტი გახლდათ ვინმე ჯორჯო სკანცერი, შვიდი წლის მანძილზე მთავრობისგან სისტემატურად იღებდა მილიონობით ლირა კრედიტს.

ბოლოს, როგორც იქნა, დადგინდა, რომ ჯორჯო სკანცერი არსებობდა, მაგრამ ფირმა „სანგროკომიკი" საერთოდ თურმე... არ არსებობდა.

☐ პოლონეთის ქალაქ კოშალინის მკვიდრმა ედუარდ ლიპკიმ ამას წინათ იპოვა სოკო, რომლის ქუდის დიამეტრი 55 სანტიმეტრს აღემატებოდა, წონა კი 2,5 კილოგრამი იყო.

გარეკანის პირველ გვერდზე: საოქტომბრო პლაკატი. მხატვარი თენგიზ სამსონაძე.



ჟურნალ „დროშის" გარეკანის მე-3 გვერდზე (მარჯვნივ) თქვენ ხედავთ ქართველ თუ უცხოელ მხატვართა ნამუშევრებს, რომლებიც ქ. თელავის საპატიო მოქალაქემ, 94 წლის ექიმმა-კოსმოტოლოგმა ქეთევან იაშვილმა უსასყიდლოდ გადასცა მშობლიური თელავის სამხატვრო გალერეას.

ამ კეთილშობილი ადამიანის კოლექცია ჩვენი ეპოქის და გასული საუკუნის ფუნჯის ოსტატთა ბევრ ნაწარმოებს მოიცავს. კოლექციიდან ყურადღებას იქცევს გ. გაბაშვილის სურათები „ალავერდობა", „ხევსური", ე. ახვლედიანის „ბოდბის მონასტერი", ი. აივაზოვსკის. „ყირიმის პეიზაჟი" გერმანელი მხატვრის პილოტის „მეფე ლუდოვიკო XIX იაკობინელების ტყვეობაში", რუსული რეალისტური მხატვრობის დიდი წარმომადგენლების მაკოვსკების, XVIII—XIX საუკუნეების უცნობი ევროპელი ოსტატების, ჰოლანდიელი და იტალიელი მხატვრების მიერ შესრულებული პორტრეტები თუ ჟანრული სურათები, საოჯახო თუ ანტიკვარული ნივთები, რომელთაც ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობა აქვთ. ექსპონატების რიცხვი 200-ს აღემატება.

ეს ყველაფერი ქ. იაშვილს თავისი ცხოვრების მანძილზე დანაზოგი თანხით შეუძენია.

— მხატვარი არ ვარ, მაგრამ მხატვრობა ძალიან მიყვარს. ბავშვობაში ჟურნალებიდან ამოვჭრიდი ხოლმე ნახატებს და კედელზე ვაკრავდი. მახსოვს პირველად ბატალისტი ფ. რუბოს სურათი „გუნიბის ციხე" შევიძინე. რამდენიმე წლის შემდეგ კი გამოჩენილი რუსი ფერმწერის მაკოვსკის სურათი. კ. მაკოვსკის უმცროსი ქალიშვილი ბერძენზე გათხოვდა. საბერძნეთში გამგზავრებამდე ეს სურათი თავის მეგობრისათვის უჩუქებია, რომელმაც იგი თბილისში ჩამოიტანა. სურათი დაზიანებული იყო, ის რესტავრირებულ იქნა მხატვარ მერი ბაგრატიონის მიერ, — გვიამბობს ქალბატონი ქეთევანი.

მხატვარ გიგო გაბაშვილს ნატურმორტი ივანე გომართელისათვის უჩუქნია, გომართელის მემკვიდრეებისაგან კი ქ. იაშვილს შეუძენია.

1933 წელს მკერავ შიუკაშვილისაგან ორი ფერწერული ტილო შეუსყიდია, ხოლო გამოჩენილი მხატვრის სვერჩკოვის ნამუშევრები „ცხენები" და „ნადირობა"—1935 წელს ვინმე მედვედევისაგან. სხვადასხვა წლებში სხვადასხვა ქალაქებში—მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში ბევრი სურათი აქვს შეძენილი. მეგობრებმა იცოდნენ ქალბატონი ქეთევანის გატაცება და როგორც კი მოჰკრავდნენ ყურს სადმე კარგი სურათი იყიდებოდა, ატყობინებდნენ-ხოლმე. ასე მოიყარა თავი ქეთევან იაშვილის ოჯახში მხატვრულმა ქმნილებებმა.

— ამ სურათების ბედზე ახალგაზრდობაში არ მიფიქრია, მაგრამ როცა ხანში შევედი, დავიწყე ზრუნვა მათ დაბინავებაზე. ისინი ძალიან მიყვარს და სიკვდილამდე მინდოდა დამებინავებინა. უკეთესსა და საიმედოს ვის ვნახავდი?!

უბედნიერეს ადამიანად ჩავთვლიდი თავს, თუ ეს გულით მიძღვნილი საჩუქარი ოდნავ მაინც აღმოჩნდება მშობლიური ხალხისადმი ჩემი დიდი სიყვარულის გამომხატველი. სიყვარული ჩემი ხალხისადმი კი მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ძალას მმატებდა, მამხნევებდა, მასულდგმულებდა! — თქვა ქალბატონმა ქეთევან იაშვილმა.

## „დროშა" № 10-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

შვეულად:

1. ადამსიტი. 2. მეტრი. 3. ფლორა. 4. ეტერნიტი. 7. ამპერი. 9. ასტრონომი. 10. კატაპულტა. 12. კრატერი. 13. იმპორტი. 18. ავტომატი. 19. ოკეახე. 20. არკატურა. 24. კაკაო. 25 გრაფა.

თარაზულად:

5. ადაპტერი. 6. კოლორიტი. 8. არეომეტრო. 11 ბიმსი. 14. ღახია. 15. ტრირემა. 16. კომეტა. 17. პოლიპი. 21. ბრიკეტი. 22. ატომი. 23. სტეკა. 26. ბალანსირი. 27. ატესტატი. 28. დიფუზორი.

გადაეცა ასაწყობად 10/X-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24 XI-78 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 52.000 შეკვ. 2744 უე 00970. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილების გამგეების — 93-28-42, 99-01-89.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

კ. პილოტი. ლუდოვიკო XVII ტყვედ იაკობინელებთან.



ფ. რუბო. გუნიბის აღება.



ელ. ახვლედიანი. ძველი თელავი





ეროვნული ბიბლიოთეკა

რობელიერი. ქალიშვილის პორტრეტი.

# თელავის მუზეუმი

კ. მაკოვსკი. ოჯახური პორტრეტი.



გ. გაბაშვილი. ალავერდისაკენ.













- ერეკლეს ძეგლი თელავში.
- თელავის პედინსტიტუტი.
- შუამთა.
- თელავის მუსიკალური სასწავლებელი
- თელავის ტურბაზა.

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა